ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

## ქართველი კალათბურთელების დასანანი მარცხი

გვ.9

საქართველო — ბულგარეთი 68:78



სამშაბათი, 6 სექტემბერი, 2011 №211 (5591) ფასი: 30 თეთრი

# ნინო ბურჯანაძე ირაკლი ალასანიას პასუხს სთხოვს



„ვიკილიქსმა“ ოპოზიციაში მორიგი განხეთქილება შეიტანა



გვ.2

## კახა კუკავა: „აფხაზი ერის არჩევანს პატივი უნდა ვცეთ“

გვ.3



ქართველი პოლიტიკოსების კრემლში ყოფნა არაფერს ნიშნავს



## რა შემოსავალი აქვს ყველაზე მდიდარ გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელს

გვ.4



გვ.2

## „ჩვენ თვითონ“ საქართველოს ევროპელ დემოკრატებად“ გადაკეთდა



გვ.6

## ბრაზილიასთან უვიზო მიმოსვლა გვექნება

რუსეთში საქართველოს საკონსულოს შენობას ართმევენ



გვ.3

## სახელმწიფო გირგვლიანების ოჯახს 50 000 ევროს 26 ოქტომბრამდე გადაუხდის

გვ.5



## ბალათურიამ მოთხოვნები წამოაყენა

## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## კახეთში ღვინის ინსტიტუტი დაფუძნდება

გვ.3

ISSN 1987-9385

9 771987 938006

**2** სოფიო ხორგუანი: დევნილების დევნა გრძელდება

**6** აჭარის პირველკლასელებს ნეტ-ბუკები ჩაუტანეს

**4** საქართველო და აზერბაიჯანი სატრანსპორტო დერეფანს ქმნიან

**6** შაშკინმა პროფესიულ კოლეჯში სარემონტო სამუშაოები დაათვალიერა

# ნინო ბურჯანაძე ირაკლი ალასანიას პასუხს სთხოვს

## „ვიკილიქსმა“ ოპოზიციაში მორიგი განხეთქილება შეიტანა

**სკანდალურად ცნობილი პორტალი „ვიკილიქსი“ საქართველოსთან დაკავშირებით საინტერესო მასალებს აქვეყნებს. ამ მასალებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში აშშ-ს მოქმედი და ყოფილი ელჩები ოპოზიციას აშკარად ცუდი თვალით უყურებენ.**

თეა მარხვაი ე

მოქმედმა ელჩმა ჯონ ბასმა ვაშინგტონს ლევან გაჩეჩილაძეზე მისწერა, მისი ყიდვა ყოველწუთას მოსალოდნელიაო. ნაელჩარმა ტეფტმა კი ამერიკაში ბურჯანაძე-ბესელია-ზურაბიშვილის ტრიო ამხილა.

სკანდალურმა „ვიკილიქსმა“ ამჯერად ყოფილი ელჩის წერილი გამოაქვეყნა. ეს წერილი ბურჯანაძე-ბიწაძის წყვილს ეხება. „ვიკილიქსის“ ცნობით, წერილს „საიდუმლოს“ კლასიფიკაცია ადევს. ეს წერილი 2009 წლის 8 სექტემბრით არის დათარიღებული. ტეფტის წერილის სათაურია: „რა ხდება ნონო ბურჯანაძესთან დაკავშირებით?“

ამ წერილში ირაკლი ალასანიაც არის მოხსენიებული, რომელსაც „ვიკილიქსის“ ცნობით, ნინო ბურჯანაძე და ეკა ბესელია წვრილმან ხულიგნებად ჰყავს მოხსენიებული. ამ წერილის გამო ალასანია წესით უხერხულ მდგომარეობაში უნდა ჩავარდეს, რადგანაც ის რაღაცნაირად „ჩამშვების“ როლში არის გამოყვანილი.

ჯონ ტეფტი ვაშინგტონს სწერს, რომ ნინო ბურჯანაძეს ქართველი საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვს, თუმცა თავისი პოლიტიკური წარსულისა (ორჯერ იყო ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი) და მისი მეუღლის ბადრი ბიწაძის აქტიური ქმედებების გამო, იგი საქართველოს მთავრობის რადარზე მაინც მონიშნულია.

ტეფტი წერს, რომ ბიწაძე დიდი ოდენობის თანხებს იღებს რუსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისაგან, რომელთა ნაწილიც შესაძლოა კრიმინალურ სინდიკატთან იყვნენ დაკავშირებულნი.

ტეფტი ასევე წერს, საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ ბიწაძე მხარს უჭერდა მუხროვანის ამბოხების მონაწილეებს.

წერილის მიხედვით, „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ელჩს უთხრა, რომ ბურჯანაძე ეკა ბესელიასა და სალომე ზურაბიშვილთან ერთად შემოდგომაზე საპროტესტო აქციების ორგანიზებაზე მუშაობდა. აქციების მიზანი მიხეილ სააკაშვილის შეცვლა უნდა ყოფილიყო. წერილის მიხედვით 2009 წლის სექტემბრის თვეში ბურჯანაძე ცდილობს დაუკავშირდეს გიორგი გაჩეჩილაძეს, იგივე „უცნობს“, პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის, ლევან გაჩეჩილაძის ძმას.

— ალასანიამ თქვა, რომ მისი ალიანსი (ახალი მემარჯვენეები და რესპუბლიკელები) აქციებში მონაწილეობას არ აპირებენ, მან ასევე დასძინა, რომ იგი დარწმუნებულია, აქციებში არც ლევან გაჩეჩილაძე ჩაერთვება. ალასანიას სიტყვებით, ბურჯანაძემ იცის, რომ იგი ნაკლებად პოპულარულია ხალხში და აქციებზე ბევრი ადამიანის გასაყვანად სწორედ „უცნობი“ სჭირდება (საელჩოს კომენტარი: რადიკალი „უცნობი“ არის ის, ვინც 6 მაისს პოლიციის შენობაზე შტურმის მოწყობას ცდილობდა, ბურჯანაძის „უცნობით“ დაინტერესება კი პოზიტიური ნიშანი არ არის იმისა, რომ აქციებს მშვიდობიანი ხასიათი ექნება). ალასანიამ ასევე თქვა, რომ ბურჯანაძე ცდილობს ბესელიას შვილის და ძმის დაკავების ფაქტი პოლიტიკურ საკითხებად აქციოს. ალასანიამ ორივე მათგანი წვრილმან ხულიგნებად დაახასიათა და დასძინა, რომ ოპოზიციის უმრავლესობა ამას მხარს არ დაუჭერს, — ნათქვამია ტეფტის წერილში.

წერილის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა აშშ-ის ელჩს უთხრა, რომ ბადრი ბიწაძემ 500,000 აშშ დოლარი მიიღო ტარიელ ონიანისგან: „ადამიანისაგან, ვისაც კავშირი აქვს მუხროვანის აჯანყებასთან. მერაბიშვილმა თქვა, რომ ბიწაძე ონიანს ბელორუსში შეხვდა. ამასთან, შს მინისტრის მტკიცებით, ბიწაძე რუსეთში მცხოვრები ე.წ. კანონიერი ქურდებისაგან თანხებს სომხეთის გავლით იღებდა. მერაბიშვილის მტკიცებით, ბურჯანაძე და ბიწაძე ევროპაში მოგზაურობდნენ იმისათვის, რომ ე.წ. კანონიერ ქურდებს შეხვედროდნენ, — აღნიშნავს ტეფტი.

ტეფტი თავის წერილში საკმაოდ ვრცლად საუბრობს ბურჯანაძის აგარაკთან დაკავშირებით ატეხილ სკანდალზე. ეს ის აგარაკია, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბურჯანაძეს პარლამენტის თავმჯდომარეობიდან წასვლის შემდეგ უსახსოვრა. გაოპოზიციონერების შემდეგ კი წაართვა.

წერილის მიხედვით, პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ საელჩოს თანამშრომელს დაუდასტურა, რომ აგარაკის მისაღებად გადასახადები უნდა გადაეხადა. ტეფტი წერს, რომ ბურჯანაძემ მას ასევე წარუდგინა 2008 წლის მონაცემები, სადაც მისი ქონება 2,769,325 ლარად არის შეფასებული.

„ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალებს სერიოზულად უკვე აღარავინ აღიქვამს. ამის გამო არც ჩვენს ოპოზიციონერებს აუტეხიათ ხმაური. სერიოზული პროტესტი არც წერილის მთავარ გმირ ნინო ბურჯანაძეს.

— ხელისუფლება დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო თანამეგობრობის შეცდომაში შეყვანას ცდილობს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

— ხელისუფლება „დემოკრატიული მოძრაობის“ წინააღმდეგ ბინძურ მეთოდებს იყენებს, რაც ჩემთვის სიახლე სულაც არ არის. თუ ხელისუფლებას აქვს რეალური სამხილები, წარმოადგინოს. „ვიკილიქსის“ ვერსიები არის ის, რაც ვანო მერაბიშვილმა უთხრა ელჩს, ეს არ არის ჯონ ტეფტის პოზიცია, — აღნიშნავს ბურჯანაძე „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

რაც შეეხება ირაკლი ალასანიას განცხადებას, რომელმაც, „ვიკილიქსის“ მიხედვით, ეკა ბესელიასა და ნინო ბურჯანაძეს წვრილმანი ხულიგნები უწოდა, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ალასანიასთვის საჯარო პასუხის გაცემას არ აპირებს და ამბობს, რომ თუ ეს მასალა სინამდვილეს შეესაბამება, შეუძლია ამის თაობაზე ალასანიას პირადად ესაუბროს.



ნინო ბურჯანაძე



ირაკლი ალასანია



ჯონ ბასი

# დღეს პარლამენტის საშემოდგომო სესია გაიხსნება



6 სექტემბერს პარლამენტის საშემოდგომო სესია ოფიციალურად გაიხსნება. პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, სესია სექტემბრის პირველ სამშაბათს ბიუროს სხდომით იხსნება. პირველ კვირაში, წესისამებრ, საკომიტეტო მოსმენა გაიმართება. მომდევნო კვირა კი სასესიო მუშაობას დაეთმობა.

შეგახსენებთ, რომ უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ საგაზაფხულო სესია ოფიციალურად ივნისის ბოლო პარასკევს, 24 ივნისს დახურა.

მედიანიუსი

# სოფიო ხორგუანი: დევნილების დევნა გრძელდება

ქართული პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი სოფიო ხორგუანი დევნილების გამოსახლებას სამინისტროს მხრიდან მოქალაქეებზე ძალადობად აფასებს.

როგორც 5 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ხორგუანმა განაცხადა, დღეს იგეგმება გურამიშვილის გამზირზე მცხოვრები ოთხი ოჯახის გამოსახლება დროებითი საცხოვრებელი ფართიდან, რომლებსაც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო კომპენსაციის გადახდა ოქტომბრის ბოლოსთვის დაჰპირდა.



სოფიო ხორგუანი

— საინტერესოა, როგორ აქვს წარმოდგენილი კობა სუბელიანს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ დევნილებმა ორი თვის განმავლობაში კომპენსაციის გარეშე ღია ცის ქვეშ, — განაცხადა ხორგუანმა და დასძინა, რომ ლტოლვილთა სამინისტროს დევნილებისათვის კომპენსაციის მიღებამდე ქირით გასვლაც არ შეუთავაზებია.

სოფიო ხორგუანი სასტუმრო „აფხაზეთიდან“ გამოსახლებული დევნილებისათვის დაპირებულ კომპენსაციას 10 000 ლარის ოდენობით ცინიზმს უწოდებს და აცხადებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარ თავს იმაზე მეტის უფლებას აძლევენ, ვიდრე აქვთ.

— ეს არის პოლიტიკური ნება და ეს არის ძალადობა საკუთარ მოქალაქეებზე, — აღნიშნა ხორგუანმა.

მედიანიუსი

# „ჩვენ თვითონ“ „საქართველოს ევროპელ დემოკრატებად“ გადაკეთდა

პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ჩვენ თვითონ“ სახელწოდება შეიცვალა და მას 5 სექტემბერიდან „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ ერქმევა.

პარტიამ წესდებაში ცვლილება რიგგარეშე ყრილობაზე შეიტანა.

პოლიტიკური გაერთიანების თავმჯდომარე პაატა დავითაიას განცხადებით, მისი პოლიტიკური გუნდისთვის ევროპულ-დემოკრატიული ღირებულებებისა და ინსტიტუტებისკენ სწრაფვა პრიორიტეტული საკითხია.



პაატა დავითაია

პრაიმ-ნიუსი

# ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე 27 წლის ქალმა თავი ჩამოიხრჩო

ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე 27 წლის ქალმა თავი ჩამოიხრჩო. გავრცელებული ინფორმაციით, 27 წლის ქალი კინოსტუდია "ქართულ ფილმში" დამლაგებლად მუშაობდა. მან სამუშაოს დასრულების შემდეგ კინოსტუდიის ტერიტორიაზე მდებარე კინომსახიობთა თეატრთან თავი ჩამოიხრჩო.

ის პროზექტურიდან უკვე სახლში გადაასვენეს. მას 2 მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები**: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბალათურიამ მოთხოვნები წამოაყენა

პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერმა, პარლამენტის დამოუკიდებელმა დეპუტატმა ჯონდი ბალათურიამ მედიას 2011 წლის საშემოდგომო სესიის პრიორიტეტები და სამოქმედო გეგმა გააცნო. მან მოთხოვნების 15-პუნქტიანი გეგმა ჩამოაყალიბა, რომელთა შესრულების საკითხსაც „ქართული დასი“ საშემოდგომო სესიაზე დასვამს.

მოთხოვნათა პირველი ხუთეულშია მინიმალური პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდა; ფინანსური ამნისტია, ანუ მოსახლეობისათვის კომუნალური დავალიანებების ჩამოწერა; პატიმრებისა და პრობაციონერებისთვის მასშტაბური ამნისტია; „ქართული დასის“ პროგ-


ჯონდი ბალათურია

რამის შესრულება, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებასა და 540 000 სამუშაო ადგილის შექმნას ითვალისწინებს; 2007 წლის 7 ნოემბერს საპროტესტო აქციისა და ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის, თავისუფალ მედიაზე ზეწოლის, სხვადასხვა ჟურნალისტის ფიზიკური შეურაცხყოფისა და 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევისას „ზღვარგადასული სისასტიკის“ გამოვლინების ფაქტების შესასწავლად პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას.

ბალათურიას თქმით, ეს 5 მიმართულება მისი პარტიისათვის პრიორიტეტული იქნება.

დეპუტატი ასევე ითხოვს პენსიონერებისა და ღარიბი მოქალაქეებისათვის უფასო სამედიცინო დაზღვევის პოლისებითა და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა პროგრამით უზრუნველყოფას; კომუნალური გადასახადის ერთიანი ადმინისტრირების წესის გაუქმებას; საშემოსავლო გადასახადისაგან ომის ვეტერანებისა და ყველა იმ პირის გათავისუფლებას, რომლებიც საომარი მოქმედებების დროს კონფლიქტის ზონაში სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ; ფარმაცევტული პროდუქციის გაიაფებას; პედაგოგების მინიმალური ხელფასის 500 ლარამდე გაზრდას; პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლების, ე.წ. უდოს ვადების შემცირებასა და მათი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას, პაემნების სიხშირის გაზრდას; ნარკოდამოკიდებულების დაავადებად აღიარებას; სასჯელის შეკრებითობის პრინციპის გაუქმებასა და მის ნაცვლად ნაწილობრივი ან მთლიანად შთანთქმის პრინციპის დანერგვას; თავისუფალ და სამართლიან სასამართლოსა და საარჩევნო კოდექსის რეფორმირებას.

ბალათურიას თქმით, ხსენებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში „ქართული დასი“ მზად არის, თბილისსა და რეგიონებში თანამოაზრეებთან ერთად საპროტესტო აქციები გამართოს.

**მედიანიუსი**

## ქართველი პოლიტიკოსების კრემლში ყოფნა არაფერს ნიშნავს

გულიკო ბალა ე

# კახა კუკავა: „აფხაზი ერის არჩევანს პატივი უნდა ვცეთ“

### ინტერვიუ თავისუფალი საქართველოს ლიდერ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, აფხაზეთში არჩევნების შემდეგ თქვენ ანქვაბს გამარჯვება მიულოცეთ. რატომ გადადგით ასეთი ნაბიჯი?***

— არა. სიტყვა მილოცვა ჩვენ არ გამოგვიყენებია. მილოცვა ავტომატურად ნიშნავს „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ აღიარებას. ჩვენ გავაკეთეთ განცხადება, რომ ჩვენ პატივს ვცემთ აფხაზი ერის არჩევანს, რომელიც თავისთავად არ წარმოადგენს მთლიანობაში აფხაზეთის ამომრჩეველთა მთლიან რაოდენობას, მაგრამ იქ არის ნაწილი და ჩვენ მოსახლეობის ამ ნაწილის — აფხაზი ერის არჩევანს პატივს ვცემთ. მზად ვართ დავიწყოთ მოლაპარაკებები აფხაზურ მხარესთან და ნებისმიერი კონფლიქტი, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ფარგლებში არსებობს, უნდა გადაწყდეს სწორედ დიალოგის გზით და არა სამხედრო კომფრონტაციით, როგორც მიიჩნევს მიხეილ სააკაშვილი.

***— მიიჩნევთ, რომ ნამდვილად აფხაზი ერის არჩევანი იყო?***

— რა თქმა უნდა. მეორე აზრი არ არსებობს. სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, საბედნიეროდ სრულიად აშკარაა, რომ აფხაზებს გამოაჩნდათ უფრო მეტი კულტურა, ვიდრე ქართველ საზოგადოებას და მათ უკვე მესამედ შეძლეს ხელისუფლების გადაცემა კონსტიტუციური გზით. არძინბას მესამე ვადით კენჭი არ უყრია. არც მემკვიდრეების დანიშვნა დაუწყიათ და არც არჩევნების გაყალბება. ეს სამწუხარო ტრაგედიაა. ჩვენ შეიძლება აფხაზებს, ჩეჩნებსა და სხვებს ზევიდან ვუყურებით, მაგრამ ფაქტია, რომ 21-ე საუკუნეში მათ უფრო მეტად მოახერხეს დემოკრატიულ სისტემასთან ადაპტირება, ვიდრე ქართველმა საზოგადოებამ. დღეს ჩვენ აფრიკული ტიპის ტირანიაში ვცხოვრობთ, აფხაზებმა კი შეძლეს ევროპული ტიპის დემოკრატიის ჩამოყალიბება.

***— თუმცა, თუ მათ ეს მოახერხეს, მთელი რიგი კატაკლიზმების — ეთნოწმენდისა და გენოციდის შემდეგ.***

— ჩვენც და აფხაზებმაც გავიარეთ სამოქალაქო ომი და კატაკლიზმები, მაგრამ იმ კატაკლიზმების მიუხედავად, საქართველოში ჩამოყალიბდა ტირანია, ხოლო აფხაზებმა დარჩენილ მოსახლეობაში (და არა მთლიანად) ეს მოახერხეს. აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობაში კლანური დაპირისპირება კი არ წავიდა, მაფიოზური სტრუქტურები კი არ შექმნეს და სააკაშვილივით პოლიციური რეჟიმი კი არ ჩამოაყალიბეს, არამედ დემოკრატიული სისტემა. აფხაზეთში არის დემოკრატიული სისტემა. მაგალითად, ბაღაფში, რომელიც თავის დროზე პრეზიდენტად იქნა არჩეული, ოპოზიციის ხელმძღვანელი იყო. მაშინ კრემლი ძალიან აქტიურად უჭერდა მხარს ხაჯინბას, მაგრამ აფხაზმა ხალხმა მას ხმა არ მისცა. არავის ძალა არ გამოუყენებია და ბაღაფში გახდა პრეზიდენტი. ახლაც ძალიან ინტენსიური დაპირისპირება მიმდინარეობდა და კანდიდატი, რომელმაც წააგო, ეს იყო მოქმედი პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბა. როდესაც მოქმედი პრემიერ-მინისტრი არჩევნებს აგებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებობს თავისუფალი საარჩევნო გარემო. ამას უნდა ანალიზი. ჩვენ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოვახერხებთ საქართველოს იურისდიქციის გავრცელებას აფხაზეთზე თუ საქართველო არ იქნება დაწინაურებული, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. შეუძლებელია ჩამორჩენილმა ქვეყანამ გაავრცელოს თავისი კონტროლი თავის განვითარებულ ნაწილზე. პირიქით, უფრო განვითარებული ქვეყნები აწესებენ შემდგომ კონტროლს და ამყარებენ თავიანთ იურისდიქციას ამა თუ იმ ფორმით შედარებით უფრო ჩამორჩენილ ავტორიტარიზმზე. თუმცა, თუ ჩვენ აფხაზეთს ჩვენს ნაწილად მივიჩნევთ, მთლად სამწუხაროც არ უნდა იყოს ის, რომ აფხაზებმა შექმნეს დემოკრატიული სისტემა, ქართველებმა კი ვერ შევქმენით.


კახა კუკავა

***— ამბობთ, „თუ აფხაზეთს ჩვენს ნაწილად მივიჩნევთო“... ეს არა მხოლოდ ფაქტობრივ, არამედ სულიერ მდგომარეობაზეც არის დამოკიდებული.***

— მე აფხაზეთს ჩვენ ნაწილად მივიჩნევ.

***— თქვენ აფხაზეთს ქვეყანა უწოდეთ. აფხაზეთი ქვეყანაა?***

— ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაღიარებთ აფხაზეთს ქვეყნად. არ შეიძლება იყოს ქვეყანა, მაგრამ მათი გაგებით ხომ არის ქვეყანა, მათ ხომ შექმნეს დემოკრატიული სისტემა? მათაც ხომ გამოიარეს ომი, სამხედრო ფორმირებების თარეში, ოკუპაცია და ყველაფერი, მაგრამ ხომ შექმნეს დემოკრატიული სისტემა და გამოვიდნენ შექმნილი ვითარებიდან. პოლიტიკურმა ძალებმა თქვეს, მოდით, შევქმნათ დემოკრატიული სისტემა და ვინც მოიგებს არჩევნებს, ის იქნება პრეზიდენტი, ხოლო დანარჩენები მას დაემორჩილონ. მთავარი ისაა, ხომ შეთანხმდნენ.

***— ბატონო კახა, არა მგონია აფხაზები ოკუპაციის ვითარებიდან გამოსულები იყვნენ.***

— მით უფრო რთულია დემოკრატიული სისტემის შექმნა ოკუპაციის პირობებში. აფხაზეთში არსებობს ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც არ არსებობს თბილისში. ძალიან რთული იყო ხაჯინბას წინააღმდეგ ბრძოლა, რომელსაც მოსკოვი მხარს ღიად უჭერდა. ამის მიუხედავად, მათ მოახერხეს ხელისუფლების დემოკრატიული გზით გადაცემა. დემოკრატია არ ნიშნავს იმას, რომ იქ ადამიანის უფლებები დაცულია. მათ შექმნეს კონსტიტუციური გზით ხელისუფლების გადაცემის პრეცედენტი, უკვე მეორეჯერ. აქეთ საქართველოში ხელისუფლების კონსტიტუციური გზით გადაცემა ვერც ერთხელ ვერ შევძელით. ეს არის პრობლემა. როგორ დაამყარებს საქართველო აფხაზეთში თავის იურისდიქციას ასეთ პირობებში? თუ შევთავაზებთ, რომ, როდესაც აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შევა, იქაც გავაყალბებთ არჩევნებს, იქაც დავიწყებთ ქონების ჩამორთმევას, ადამიანების დაშინებას, დაპატიმრებას. ასეთ საქართველოს აფხაზეთი არასოდეს შემოუერთდება, მაგრამ თუ საქართველო მოიქცევა ისე, როგორც გააკეთა კვიპროსმა — ჩვენი ქვეყანა გახდება ევროპული ტიპის დემოკრატია, განვითარებული ეკონომიკით — პრობლემა უფრო ადვილად მოგვარდება. დღეს კვიპროსის თურქული ნაწილი ეხვეწება ბერძნულ ნაწილს შემირიგდიო, მაგრამ კვიპროსის ბერძნული ნაწილი თავს იკავებს. ამაზე ვსაუბრობ. დღეს აფხაზეთი, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური განვითარების დონით საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებს უსწრებს. ამიტომაც დღევანდელ ვითარებაში რეინტეგრაციაზე საუბარი წყლის ნაყვაა.

***— მგონი, სხვა პარტიებს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით თავიანთი აზრი არ გამოუხატავთ და განცხადებები არ გაუვრცელებიათ. პოლიტიკური სპექტრი მიზეზთა გამო, თავს იკავებს. თქვენ რამ გადაგაწყვეტინათ განცხადება გაგეკეთებინათ?***

— „თავისუფალი საქართველო“ არის ერთადერთი ეროვნულ საფუძველზე დამყარებული პარტია. არსებობენ ჯუფები, რომლებიც ეროვნულ ინტერესებს ატარებენ, მაგრამ პოლიტიკური პარტია, როგორც ასეთი, რომელიც ეროვნულ ინტერესებს გამოხატავს, ეს არის „თავისუფალი საქართველო“. სხვა პარტიები ხელმძღვანელობენ აშშ-ის ინტერესებით.

***— ასევე არიან ისეთებიც, რომლებიც ალბათ რუსეთის ინტერესებს გამოხატავენ.***

— რუსეთის ინტერესებს ახლა საქართველოში ღიად ვინ გამოხატავს? ყოველ შემთხვევაში, ვინც დღეს რეალურ პოლიტიკაშია, არა მგონია ღიად რუსულ ინტერესებს ატარებდეს.

***— ღიად არა, მაგრამ ჩვენ გვინახავს ქართველი პოლიტიკოსები კრემლში პუტინთან...***

— თავისთავად კრემლში ყოფნა არაფერს ნიშნავს.

***— ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება ამით აპელირებს ხოლმე.***

— ხელისუფლება აპელირებს, მაგრამ როცა ვსაუბრობთ პოლიტიკურ პარტიებზე, ხელისუფლებისაგან განსხვავებით ჭორებს არ ვეყრდნობით. ამ პარტიებს ღიად აქვთ დეკლარირებული, რომ საქართველოს მთავარი ამოცანა ნატოში ინტეგრაცია და ამერიკასთან პარტნიორობაა. ამერიკისა და ნატოს მოთხოვნაა ის, რომ საქართველო აფხაზებს და რუსებს არ უნდა ელაპარაკოს და, პრაქტიკულად, დროთა განმავლობაში უნდა მოხდეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აშშ-ისა და თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო ბაზების განლაგება ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.

***— მე წავიკითხე აშშ-ის ხელისუფლების მოწოდება საქართველოს ხელისუფლებისადმი, რომ საქართველოს ხელისუფლება უნდა დაელაპარაკოს სეპარატისტული ე.წ. რესპუბლიოკების ხელმძღვანელობას და უნდა მოხდეს მათი დაახლოება.***

— ასეთი დოკუმენტი მეც მაქვს წაკითხული, მაგრამ ეს არის ფარატინა ქაღალდი. რეალური პოზიცია ეს არ არის. რეალური პოზიცია ასეთი რომ იყოს, ჩვენ ხომ ვიცით, საქართველოს მთავრობა ამერიკის ყველა მითითებას ასრულებს, რატომ არ ასრულებს ამ მითითებას? ეს არის დიპლომატიური განცხადებები.

***— დემოკრატიული ინსტიტუტების აუცილებლობაზე, სასამართლოსა და სხვა საკითხებზე ამერიკის განცხადებები და მითითებები საქართველოს ხელისუფლებისადმი რეალური არ არის?***

— როდის მოგისმენიათ, რომ აშშ-ს რაიმე კონკრეტული მითითება მიეცა საქართველოს ხელისუფლებისადმი.

***— დრო და დრო ხომ ქვეყნდება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებები.***

— მე ამერიკის ხელისუფლების განცხადებებს ძალიან დეტალურად ვიცნობ. როდესაც ამერიკელები დემოკრატიას მხარს უჭერენ, ამბობენ, რომ დემოკრატიულ პრინციპებს მხარს უჭერენ. როდის მოითხოვეს რომელიმე კონკრეტული რეკომენდაციის შესრულება საქართველოს მთავრობისაგან? მოეთხოვათ კუბლაშვილის გადაყენება; მერაბიშვილის გადაყენება, 26 მაისის გამოძიება, გაყალბებული არჩევნების გამოძიება და გირგვლიანის მკვლელების დასჯა. არასოდეს მათ ეს არ გაუკეთებიათ.

***— ამერიკის ხელისუფლების რეკომენდაციები ზოგადია და ჩვენი ხელისუფლებისაგან კონკრეტულ ქმედებებსა და ცვლილებებს არ ითხოვს?***

— დიახ. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა მსოფლიოს ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებას, მაგრამ როგორ უჭერდა მხარს დემოკრატიის განვითარებას საბჭოთა კავშირი, კარგად გახსოვთ.

# კახეთში ღვინის ინსტიტუტი დაფუძნდება

წელს კახეთში ღვინის ინსტიტუტი დაფუძნდება და საქართველოში უცხოელი მეღვინეები ჩამოვლენ, რათა გაუმჯობესდეს და უკეთესად განვითარდეს ქართული ღვინის ჯიშები.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ველისციხეში ყოფნისას განაცხადა.

პრეზიდენტის თქმით, მთავრობისთვის კახეთში რთველი არ არის ჩვეულებრივი მოვლენა და ის ფუნდამენტური პოლიტიკური საკითხია.

— ყურძენი, ვენახი და ღვინო არის ბევრად მეტი, ვიდრე უბრალოდ, სოფლის მეურნეობა. ეს არის ჩვენი იდენტობის საკითხი, ჩვენი კულტურის ნამდვილი პასპორტი, ეს არის ჩვენი სიამაყე, ეს არის ის, რაზეც საერთოდ დგას ჩვენი მეობა. ამიტომ, ეს გაცილებით ფართო თემაა ჩემთვის, ვიდრე სოფლის მეურნეობა. ეს ნიშნავს იმას, რომ ბევრი უნდა ვიმუშაოთ ჩვენი ღვინის პოპულარიზაციისთვის, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის, ბაკურ კვეზერელის განცხადებით, წინასწარი პროგნოზით, წელს კახეთი 150 ათას ტონა ყურძნის მოსავალს მიიღებს, რაც 50 ათასი ტონით მეტია გასულ წელთან შედარებით. კვეზერელის თქმით, ყურძნის მოსავალი 110 ათას კახელ გლეხს 60 მილიონ ლარს მოუტანს.

მინისტრის ინფორმაციით, რთველში ძირითადად სამუშაოები 25 სექტემბრისთვის დასრულდება.

**პრაიმ-ნიუსი**


მიხეილ სააკაშვილი

# რა შემოსავალი აქვს ყველაზე მდიდარ გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელს

## რა უჯდება სახელმწიფოს კახეთის გუბერნატორის შენახვა

**15 სექტემბრიდან პენსია 100 ლარი გახდება. ამასთან დაკავშირებით ხელისუფლება ისეთ რეკლამას აკეთებს, რომ პენსიონერების ნაწილს უკვე აღარ სურს ამ ფულის აღება. პენსია რომ გაიზარდა, ეს კარგია, თუმცა რაში უნდა ეყოს ადამიანს 100 ლარი, საკითხავი აი, ეს არის.**

თეა მარხვაი ე

100 ლარი საკმარისი რომ ყოფილიყო, დეპუტატებს, მინისტრებს და გუბერნატორებს ყოველთვიურად რამდენიმე ათასს არ დაახარჯავდნენ.

განსჯისთვის „ახალი თაობა" გთავაზობთ გუბერნატორების ქონებრივ მდგომარეობას. ამჯერად კახეთის მხარისა და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორებზე გესაუბრებით.

სხვათა შორის, გუშინდელი დღე გიორგი ღვინიაშვილისთვის ერთგვარად საიუბილეო იყო. ის კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულად 3 წლის წინ დაინიშნა. ის ამ თანამდებობაზე პარლამენტიდან მოვიდა. მანამდე კი თბილისის მთავარი პროკურორი იყო. ხელფასის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ღვინიაშვილი ახალი სამსახურით უკმაყოფილო ნამდვილად არ უნდა იყოს.

პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის რეგიონში გიორგი ღვინიაშვილი ყოველწლიურად ხელფასის სახით ჯამში 35 ათას 400 ლარს იღებს. მაგრამ ეს არ არის სრული ციფრი, პრეზიდენტის რწმუნებული პრემიის სახით წელიწადში ამდენივე თანხას იღებს. საბოლოო ჯამში, გუბერნატორის ჯამაგირი წელიწადში 70.800 ლარი გამოდის.

ყოველთვიურად პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის გასამრჯელო 2 950 ლარია, ხოლო პრემიის სახით იგი ასევე 2 950 ლარს იღებს. ჯამში გიორგი ღვინიაშვილის ანაზღაურება 5 900 ლარია.

მთლად ამდენი არა, მაგრამ საკმაოდ კარგი ანაზღაურება აქვთ მის მოადგილეებსაც.

ოფიციალური ინფორმაციით, რომელიც რადიო „ჰერეთმა" კახეთის სამხარეო ადმინისტრაციისგან მიიღო, გუბერნატორის პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილი ყოველწლიურად ხელფასის სახით 28 ათას 320 ლარს იღებს, ხოლო მისი პრემია 4 664 ლარია.

გუბერნატორის მოადგილე ალექსანდრე კახიძის ხელფასი ერთი წლის განმავლობაში 27 ათასი ლარია, ხოლო პრემია — 4 428 ლარი. ამავე რაოდენობის ხელფასსა და პრემიას იღებს გუბერნატორის კიდევ ერთი მოადგილე პეტრე კიკნაძე.

გარდა ამისა, კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი სარგებლობს ავტომანქანით, რომელიც გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება.

ავტომობილის საბაზრო ფასი მერყევია. მაგალითად, საქართველოს საავტომობილო ბაზარზე მისი ფასი საშუალოდ 24 ათასი დოლარია.

რადიო „ჰერეთის" ცნობით, მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში, სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ავტომობილის საწვავისთვის სულ 15.350 ლარი გაიხარჯა, ხოლო ავტომობილის რემონტისთვის — 3.400 ლარი.

ჩვენი გუბერნატორებიდან არც ერთს არ უჭირს. მათგან ყველაზე მდიდარი მაინც ცეზარ ჩოჩელია. მართალია მას ჯამაგირი საკმაოდ მაღალი აქვს, მაგრამ ფული სხვაგან იშოვა. ის პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვიდა.

ჩვენმა საზოგადოებამ ის „ნატახტარის" ლუდის ქარხნიდან გაიცნო. მის სახელსვე უკავშირდებოდა ლუდი „ლომისი" და ლუდი „დარიალი". ლუდსახარში მას ახალგორშიც ჰქონდა. ფირმა „ლომისი" ჩოჩელს ჯერ კიდევ 1991 წელს დაუარსებია.

როგორც პოლიტიკოსი, ჩოჩელი ერმა ვარდების რევოლუციის შემდეგ გაიცნო. ის პარლამენტში ახალგორის მაჟორიტარი დეპუტატის მანდატით შევიდა. მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორად კი 2008 წლის თებერვალში დანიშნეს. მაშინ პრესაში დაიწერა, რომ ჩოჩელს გუბერნატორობა არ სურდა. ამ თანამდებობისთვის რომ თავი დაეღწია, ჩინეთშიც კი წასულა, მაგრამ უკან ჩამოიყვანეს და გუბერნატორობა „მიუსაჯეს".

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ქონებრივი დეკლარაცია ბოლოს 2011 წლის 20 მაისს შეავსო. ამ დეკლარაციის მიხედვით მას ორი საცხოვრებელი სახლი აქვს. 1600 კვ.მ. ფართის სახლი სოფელ დილომში და 100 კვ.მ ფართის სახლი ახალგორში.

როგორც „ლეიბორისტები" ამტკიცებენ, ჩოჩელი ოსებს ფულს უხდის, რომ მისი სახლი არ დაარბიონ. ერთ-ერთი ვერსიით, მის სახლში კოკოითის მიერ დანიშნულმა მილიციის უფროსმა დაიდო ცოტა ხნით ბინა.

დეკლარაციის თანახმად, ცეზარ ჩოჩელსვე ეკუთვნის 180 კვ.მ. ფართის ბინა თბილისში, ტაშკენტის №23 ნომერში.

საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება ცეზარ ჩოჩელის მეუღლის სახელზე არსებული ქონებაც.

ცეზარ ჩოჩელის მეუღლის, სვეტლანა ჩოჩელის სახელზე მიწის 6 ნაკვეთია რეგისტრირებული. ექვსივე ნაკვეთი სოფელ დილომში მდებარეობს. მათი საერთო ფართი 7939კვ.მია. თუ გავითვალისწინებთ, რა ღირს ახლა დილომში მიწა, ჩოჩელის მეუღლე საკმაოდ მდიდარი ქალი გამოდის.



ცეზარ ჩოჩელი

სვეტლანა ჩოჩელი სხვა ქონებასაც ფლობს. მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, გუბერნატორის მეუღლეს ეკუთვნის 1400 კვ.მ მიწის ნაკვეთი დაბა ახალგორში და 31 270 დოლარის ღირებულების სააქციო საზოგადოება „კედარის" ფასიანი ქაღალდებიც.

დეკლარაციის თანახმად, ცეზარ ჩოჩელს ორი ძვირადღირებული ავტომობილი ჰყავს. 2008 წელს გამოშვებული „LEXSUS 75O" და იმავე წელს გამოშვებული „LEXSUS 4601".

ცეზარ ჩოჩელს „თიბისი ბანკში" საკრედიტო ბარათზე 4160 დოლარი აქვს, ხოლო საკრედიტო ანაბარზე 2 254 ლარი. ამავე ბანკში გახსნილ სახელფასო ბარათზე კი 2360 ლარი ერიცხება.

გუბერნატორის მეუღლეს „პროკრედიტ ბანკში" ორი ანაბარი აქვს: 7397.51 დოლარის და 4855 ევროს ოდენობით.

დეკლარაციის თანახმად, ცეზარ ჩოჩელს ნაღდი ფულის სახით 205 000 ლარი აქვს, მის მეუღლეს კი ბევრად ნაკლები, სულ რაღაც 8000 ლარი.

მცხეთა-მთიანეთის რწმუნებული შპს „ინტერპლასტის" ერთ-ერთი პარტნიორია. თუმცა, ჩოჩელი დეკლარაციაში უთითებს, რომ ამ საწარმოდან მას შემოსავალი არ აქვს მიღებული.

ცეზარ ჩოჩელს სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობაზე მუშაობისთვის 2010 წელს ხელფასის სახით 35 ათას 555 ლარი აქვს აღებული.

გუბერნატორი დეკლარაციაში განმარტავს, რომ შპს „ინტერპლასტს" 2008 წლის 30 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე 19 197 ლარი ასესხა. გასესხებული თანხიდან სარგებლის სახით ჩოჩელს 4 132 ლარი აქვს მიღებული.

ჩოჩელს დეკლარაციაში შეტანილი აქვს ნასყიდობის ხელშეკრულებაც. ამ ხელშეკრულების თანახმად, გუბერნატორმა კორპორაცია „რემაქს ენდ კოს" შპს „ინტერპლასტის" წილი მიჰყიდა. ამ გარიგებიდან, ჩოჩელს 1 წლის განმავლობაში 7 მილიონ 13 ათას 907 ლარი უნდა მიეღო (ხელშეკრულება 2009 წლის 29 იანვარს არის დადებული და მისი ვადა 2012 წლის 29 იანვარს იწურება). დეკლარაციაში მითითებულია, რომ ამ გარიგებიდან ჩოჩელს შემოსავალი არ აქვს მიღებული.

ცეზარ ჩოჩელს ქონების მართვის უფლება მინდობილობით საკუთარ ძმაზე, იაგო ჩოჩელზე აქვს გადაფორმებული.

დეკლარაცის თანახმად, იაგო ჩოჩელი გუბერნატორის თითქმის მთელი ქონების განმკარგავია. 2011 წლის დეკლარაციის მიხედვით, ცეზარ ჩოჩელმა ძმას მინდობილობით მისცა მისი მოძრავი და უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლება.

ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მასვე გადაეცა განსაკარგავად თანხა 6 მილიონ 400 ათასი დოლარის ოდენობით.

დეკლარაციაში მითითებულია, რომ იაგო ჩოჩელმა შპს „მიქსორსა" და შპს „ლარმაქსში" კუთვნილი წილი ცეზარ ჩოჩელს დაუთმო შპს „ინტერპლასტის" 9,9992% წილის სანაცვლოდ.

ცეზარ ჩოჩელს 2010 წლის 15 ოქტომბერს „თიბისი ბანკიდან" 400 000 დოლარის ოდენობის სესხი აქვს გამოტანილი. გასულ წელს მას პროცენტის სახით 10 696 ლარი აქვს გადახდილი.

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს კიდევ ერთი საკრედიტო ბარათი აქვს „თიბისი ბანკში". ბარათზე მას 10 000 დოლარი აქვს. ამ საკრედიტო ბარათის გამოყენების გამო გუბერნატორს პროცენტის სახით 191.17 დოლარი აქვს გადახდილი.

2010 წელს შვილებს, შალვა და რამზეს ჩოჩელებს ცეზარ ჩოჩელმა სწავლის გადასახადის სახით 4.000-4.000 ათასი ევრო გადაუხადა.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, 4 ათასი ევროს ოდენობით სწავლის გადასახადი გასულ წელს გუბერნატორს საკუთარი თავისთვისაც გადაუხდია.

2010 წელს ანაბარზე დარიცხული პროცენტის სახით ცეზარ ჩოჩელს 3.272 ევრო და 545.000 ლარი აქვს მიღებული, ხოლო მის მეუღლეს 1.398 დოლარი და 1.355 ევრო. 2011 წლის დეკლარაციის მიხედვით ცეზარ ჩოჩელს ხელფასის სახით 35 ათას 555 ლარი აქვს მიღებული.

სახელმწიფო რწმუნებულის 2011 წლის ქონებრივ დეკლარაციაში აღარ ჩანს 2010 წლის დეკლარაციაში მითითებული „თიბისი ბანკში" გახსნილი უვადო ანაბარი, რომელზეც ჩოჩელს 1 მილიონი დოლარი ჰქონდა შეტანილი და საიდანაც მან 2009 წელს სარგებლის სახით 7 237 დოლარი მიიღო.

წლევანდელ დეკლარაციაში აღარც „თიბისი ბანკში" გახსნილი ის ანაბარი ჩანს, რომელზეც გუბერნატორს 398 ათასი ევრო ჰქონდა შენახული.

2011 წლის დეკლარაციაში „გამორჩენილია" მიწის ის ნაკვეთიც, რომელიც გუბერნატორმა 2010 წელს 100.000 ლარად შეიძინა. წლევანდელ დეკლარაციაში არც ის საცხოვრებელი სახლია შეტანილი, რომელიც ჩოჩელმა 2010 წელს 1.500 000 ლარად ააშენა (ამ სახლთან ლეიბორისტები აქციებს ხშირად აწყობენ ხოლმე) და რომლისთვისაც 232.000 ლარის ავეჯი შეიძინა.

---

## „ქართველი ემიგრანტების" ხელმძღვანელი გაუჩინარდა

გუშინ ევროკავშირის წარმომადგენლობასთან გამართული აქციის ორგანიზატორების, მოძრაობა „ივერიელების", „თეთრების" ახალგაზრდული ფრთის და „ქართველი ემიგრანტების" განცხადებით, გაუჩინარდა „ქართველი ემიგრანტების" ხელმძღვანელი ზვიად ყუშიტაშვილი.

როგორც „მედიანიუსს" მოძრაობა „თეთრებიდან" აცნობეს, ზვიად ყუშიტაშვილი გუშინდელი დღიდან გაუჩინარდა და ამ დრომდე მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.

მოძრაობა „თეთრების" ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელის გიორგი ფარესიშვილის თქმით, ჯერ კიდევ 5 სექტემბრის აქციების დაწყებამდე, ზვიად ყუშიტაშვილის მიმართ არაერთი მუქარა განხორციელდა.

— ის დაიბარეს „მოდულში", აქედან გამომდინარე არის ეჭვები, რომ ის სწორედ მოდულის შენობაშია, — აცხადებს გიორგი ფარესიშვილი.

მისი თქმით, დღეს „მოდულის" შენობასთან 16:00 საათზე საპროტესტო აქცია გაიმართება, სადაც ისინი ზვიად ყუშიტაშვილის ადგილსამყოფელის დადგენას მოითხოვენ.

ფარესიშვილის თქმით, სწორედ აღნიშნული მოთხოვნით შეიტანენ ისინი განცხადებას შინაგან საქმეთა სამინისტროში.

„თეთრების" განცხადებით, მათ თურქეთში მცხოვრები შოთა ჯიქია დაუკავშირდა და თურქეთში მყოფი ქართველების დაშინების ფაქტების შესახებ აცნობა. შოთა ჯიქიამ განაცხადა, რომ იქ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს სერიოზულად ემუქრებიან, რათა ისინი საპროტესტო აქციაზე არ გავიდნენ, ზეწოლა იმდენად დიდია, რომ ხალხს ეშინია მშვიდობიანად გამოხატოს თავისი აზრი.

**მედიანიუსი**

---

## საქართველო და აზერბაიჯანი სატრანსპორტო დერეფანს ქმნიან



საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზები, შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალით, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანს ქმნიან, რომელიც უმოკლესი გზით ევროპას ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს.

„საქართველოს რკინიგზის" ინფორმაციით, რკინიგზა ახორციელებს სტრატეგიულ პროექტს - "სწრაფი რკინიგზა", რაც გულისხმობს საქართველოს რკინიგზის ცენტრალური მაგისტრალის სრულ მოდერნიზაციას და რიკოთის უღელტეხილის მონაკვეთზე ახალი, სწორი მაგისტრალის მშენებლობას.

ამასთან, აზერბაიჯანის რკინიგზამ სახელმწიფო განვითარების გეგმის ფარგლებში, დაიწყო რკინიგზის მოდერნიზაციის და რეაბილიიტაციის პროგრამა, რომელიც გულისხმობს ინფრასტრუქტურის სრულ მოდერნიზაციას. აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უკვე დაწყებულია. გარდა ამისა, დაგეგმილია მოძრავი შემადგენლობის განახლება და სავაგონო პარკის გაზრდა 50 ახალი ცვლადი დენის ტიპის ელმავლით და 4 000 ახალი ვაგონით.

„საქართველოს რკინიგზის" პროექტი — „სწრაფი რკინიგზა", ისევე როგორც აზერბაიჯანის რკინიგზის მოდერნიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამა მნიშვნელოვანია ორივე რკინიგზისთვის, როგორც უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ქვეყნებისთვის. ეს პროექტები ხელს შეუწყობს მზარდი ტვირთნაკადის უფრო ეფექტურად მომსახურებას და დამატებითი ტვირთების მოზიდვას დერეფანში, რაც კიდევ უფრო კონკურენტუნარიანს გახდის მას მსოფლიო ბაზარზე", — აცხადებენ „საქართველოს რკინიგზაში".

**ინტერპრესნიუსი**

---

## სუბარი და კიწმარიშვილი ევროპიდან კვირის ბოლოს დაბრუნდებიან

ქართული პარტიის ლიდერები სოზარ სუბარი და ეროსი კიწმარიშვილი ევროპიდან საქართველოში მიმდინარე კვირის ბოლოს დაბრუნდებიან.

ქართული პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრმა სოფიო ხორგუანმა არ დააკონკრეტა, თუ ევროპის რომელ ქვეყნებში მართავენ შეხვედრებს პარტიის ლიდერები, თუმცა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ავტორიტეტულ უფლებადამცველებთან გამართული შეხვედრები მნიშვნელოვანი და პროდუქტიული გამოდგა.

ხორგუანის თქმით, თბილისში დაბრუნებული სუბარი და კიწმარიშვილი ევროპაში გამართული შეხვედრების შესახებ დეტალურად სპეციალურ ბრიფინგზე ისაუბრებენ, რომელიც მათი თბილისში ჩამოსვლისთანავე გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

---

## ავტოსაგზაო შემთხვევას 3 კაცი ემსხვერპლა

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის აგარის მონაკვეთზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანი ემსხვერპლა.

„მერსედესის" მარკის მსუბუქი ავტომანქანა მიკროავტობუსს დაეჯახა. დაღუპულია „მერსედესში" მყოფი ორი ადამიანი და მიკროავტობუსის ერთი მგზავრი. აღნიშნული პირები სასწრაფო დამხარების მანქანის მისვლამდე ადგილზევე დაიღუპნენ.

ავარიის შედეგად სხეულის მრავლობითი დაზიანებები მიიღეს მიკროავტობუსში მყოფმა სხვა მგზავრებმაც. დაშავებულები ქარელის, გორის და ხაშურის საავადმყოფოებშია არიან გადაყვანილები.

საპატრულო პოლიციამ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაიწყო. თვითმხილველები ავარიის მიზეზად "მერსედესის" მარკი ავტომანქნაის მძღოლის მიერ სიჩქარის გადაჭარბებას და საგზაო წესების დარღვევას ასახელებენ.

**მედიანიუსი**

# ზურაბ შენგელია: „გალში ქართველების დაბრუნება მარტო აფხაზების გადასაწყვეტი არ არის“

## ანქვაბი საქართველოსთან ურთიერთობის მოგვარებას შეეცდება

**აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე, სავარაუდოდ, რა ნაბიჯებია მოსალოდნელი საქართველოსთან მიმართებაში სოხუმის ხელისუფლების „პრესიდენტ“ ალექსანდრე ანქვაბისგან, „ინტერპრესნიუსი“ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორს, ზურაბ შენგელიას ესაუბრა, რომელიც არჩევნების მიმდინარეობისას აფხაზეთში იმყოფებოდა და სოხუმიდან ახლახან დაბრუნდა.**


ზურაბ შენგელია

*— ბატონო ზურაბ, თქვენ პრაქტიკულად ერთადერთი ქართველი ხართ, ვინც სოხუმში თბილისიდან არჩევნებამდე ჩავიდა და აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების დღესაც იქ იყო. გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები...*

— დავიწყებ იმით, რომ ძალიან საინტერესო იყო არჩევნებში მონაწილე სამივე კანდიდატის საარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდა და რეკლამა. წინასაარჩევნო აგიტაცია ყველაზე ძლიერად სერგეი შამბამ ჩაატარა; ეტყობოდა, რომ მას დამხმარე გუნდში რუსი პიარტექნოლოგები ჰყავდა. შამბას წინასაარჩევნო კამპანია ძალიან ჰგავდა პუტინის კამპანიას, რომელსაც რუსეთის პრემიერ-მინისტრი ადრეც და ახლაც ეწევა. თუ პუტინი ძიუდოისტია და კიმონოში გამოდის, ილეთებს ატარებს, თავის სპორტულ და მამაკაცურ ღირსებებს ხაზს უსვამს, შამბა კარატისტი აღმოჩნდა და შამბასადმი მიძღვნილ თითქმის ყველა გადაცემასა და კლიპში, რომელიც სატელევიზიო ეთერში საკმაოდ ბევრი იყო, იყო სცენები, თუ როგორ ვარჯიშობს კარატეში და ილეთებს აკეთებს. გარდა ამისა, შამბა აღმოჩნდა ერთადერთი კანდიდატი, რომლის პლაკატებით და ბანერებით მთელი აფხაზეთი იყო მოფენილი. არც ანქვაბს და არც ხაჯიმბას არც ერთი ბანერი და პლაკატი არ ჰქონიათ. და ეს მაშინ, როცა შამბას ბანერები და პლაკატები მრავლად იყო ყველა ქალაქში, სოფელში და გზებზეც კი. მე სოხუმის გარდა, ოჩამჩირის რაიონის ორ სოფელში, მოქვსა და აძიუბჟაში ვიყავი და ანქვაბისა და ხაჯიმბას ბანერები და პლაკატები არსად შემხვედრია. მედიაშიც შამბას ძალიან დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. ასე რომ, თუ არჩევნების ვიზუალურ მხარეზე ვისაუბრებთ, შამბას უპირატესობა აშკარად ჩანდა.

საინტერესოა ისიც, რომ არც შამბას და არც ხაჯინბას არ ჰქონიათ წინასაარჩევნო პროგრამა. რაც მათ ჰქონდათ, პროგრამა არ არის. მას შეიძლება პირობითად, ყოველგვარი დასაბუთებისა და ლოგიკის გარეშე ეწოდოს — არჩევის შემთხვევაში რას გავაკეთებ. შეიძლება ითქვას, რომ მათი დაპირებები ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იყო წარმოდგენილი, არის თუ არა შესაძლებელი დაპირებების შესრულება და თუ შესაძლებელია - როგორ და რა სახსრებით.

პროგრამა ჰქონდა მხოლოდ ანქვაბს, თანაც საკმაოდ სარისკო. ანქვაბის პროგრამის ამოსავალი წერტილი ასეთი იყო — ჩვენ უნდა შევქმნათ სახელმწიფო; რაც ახლა გვაქვს, სახელმწიფო არ არის. კორუფცია, კრიმინალური მდგომარეობა, ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩვენ სწრაფად შევქმნათ სახელმწიფო.

***— თქვენი აზრით, რამ განაპირობა არჩევნებში ანქვაბის გამარჯვება და მის გამარჯვებაში რამე როლი მიუძღვის თუ არა მოსკოვს? ბევრი მიიჩნევს, რომ მოსკოვმა შამბა თავად დაძირა და ამ ეტაპზე ანქვაბი იმის გამო არჩია, რომ, როგორც გამოცდილ კადრს, შამბაზე უკეთ შეუძლია აფხაზეთში ვითარებაზე კონტროლის გამკაცრება, სოჭის ოლიმპიადამდე სრული წესრიგის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში საქართველოსთან მიმართებაშიც მოსკოვისა და სოხუმის ერთობლივად უკვე შემუშავებული პოზიციების დაცვა. თქვენთვის რამდენად მისაღებია ამგვარი შეფასება?***

— მოსკოვის ხელი პირდაპირ არ იგრძნობოდა. ჩემი აზრით, ალბათ იმიტომაც, რომ მოსკოვისთვის პრაქტიკულად სულ ერთი იყო, ვინ გაიმარჯვებდა არჩევნებში. მიუხედავად ამისა,


ალექსანდრე ანქვაბი

მაინც მგონია, რომ მოსკოვს მეორე ტურის იმედი ჰქონდა. მეორე ტური რომ გამხდარიყო საჭირო, შესაძლოა, მაშინ უფრო ცხადად გამოჩენილიყო, თუ ვისი გამარჯვება უფრო უნდოდა კრემლს. ჩემი აზრით, მოსკოვი ატყობდა, რომ ანქვაბი არჩევნებს იგებდა და ამიტომ საზოგადოების აზრის წინააღმდეგ წასვლა არც მოისურვა. მოხდა საოცრება, შამბამ იმაზე გაცილებით ნაკლები ხმა მიიღო, ვიდრე საზოგადოება ელოდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ანქვაბმა კარგად დაიჭირა წესრიგსა და კანონიერების დაცვაზე საზოგადოების მოთხოვნილება. როგორც ჩანს, საზოგადოებას ყელში ამოუვიდა ის განუკითხაობა, რაც აფხაზეთშია. თუმცა, აშკარა იყო, რომ რუსეთი ფინანსებითაც და პიარ-მეჯერებითაც შამბას ეხმარებოდა. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ ეტაპზე მოსკოვისთვის ანქვაბი უფრო მისაღებიც ყოფილიყო. ოლიმპიადის მოახლოებასთან დაკავშირებით სოჭის მახლობელ რეგიონში სიწყნარე და სტაბილურობა რუსეთის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტას რომ ანქვაბი უკეთ შეძლებს, ეს მოსკოვმა კარგად იცის.

***— რამდენად მართებულია მტკიცება, რომ ანქვაბის არჩევით აფხაზურმა საზოგადოებამ იზოლაციონიზმს დაუჭირა მხარი და ანქვაბი, შამბასაგან განსხვავებით, დასავლეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ნაკლებად იზრუნებს?***

— ვერ გეტყვით. ანქვაბის პრიორიტეტი აფხაზური სახელმწიფოს მშენებლობაა და არა — აფხაზეთის დამოუკიდებლობის სხვა ქვეყნების მიერ აღიარება. ეს გარკვეულწილად ამ თემისადმი გონივრულ მიდგომასაც გულისხმობს. რუსეთის გარდა, ანქვაბმაც დაინახა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ასეთი სახით აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს. მან საზოგადოებას ამ ეტაპზე სახელმწიფოს მშენებლობა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება შესთავაზა. ვერ გეტყვით, არის თუ არა ეს იზოლაციონიზმი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა მოსახლეობამ პრაქტიკულად ერთხმად მხარი დაუჭირა ანქვაბს. ზუსტად არ ვიცი, რამდენმა გალელმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ ის, რომ მათმა უდიდესმა ნაწილმა არჩევანი ანქვაბის სასარგებლოდ გააკეთა, ზუსტად ვიცი.

***— არჩევნების შემდეგ გამართულ პირველივე პრესკონფერენციაზე სომხურ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით სოხუმში ერევნიდან ჩასული სტუმრის კითხვაზე, ანქვაბმა ასე უპასუხა — „სომხეთთან ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით აფხაზურმა მხარემ ბევრი გააკეთა. ჩვენ აფხაზეთში მცხოვრებ 36 ათას სომეხ მოსახლეზე გავეცით აფხაზური პასპორტები. ახლა ჩვენ სომხეთიდან ველით კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელსაც დიდი სიამოვნებით მივიღებთ. თქვენც კარგად იცით, თუ რა მაქვს მხედველობაში“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანქვაბი ოფიციალური ერევნიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ელოდება?***

— არა, ასე არ მგონია. ანქვაბი ისეთი უჭკუო კაცი არ არის, რომ ამის იმედი ჰქონდეს. ჩემი აზრით, აქ საუბარი შეიძლება იყოს სომხურ ინვესტიციებზე. ალბათ ანქვაბი უკეთესად გრძნობს, რომ ოლიმპიადის შემდეგ რუსული ინვესტიციები აფხაზეთში ძალიან შემცირდება. ამიტომ საჭიროა ინვესტიციების ახალი წყაროების მოძიება. ეს ეხება ტურიზმის განვითარებასაც. აფხაზეთსაც სჭირდება სომეხი ტურისტი. ფულიანი რუსი ტურისტები აფხაზეთში არ ჩადიან. აფხაზეთის საკურორტო ინფრასტრუქტურა არ არის იმ დონეზე, რომ დამსვენებელს კომფორტული დასვენება შესთავაზოს. სომხეთის თემასთან დაკავშირებით კიდევ იმის თქმა შემიძლია, რომ დამკვირვებლების სტატუსით აფხაზეთში ერევნიდანაც იყვნენ ჩასულები. გამოცხადდა, რომ დამკვირვებლის სტატუსით არჩევნებზე ჩასული იყო 109 დამკვირვებელი. მაგრამ წინა დღეს ასეთი მონაცემები იყო — სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული იყო 33 დამკვირვებელი, ხოლო რუსეთიდან — 47. სხვათა შორის, ანქვაბის პრესკონფერენციაზე სომეხი დამკვირვებლის აქტიურობამ ბევრი გააღიზიანა. ბევრმა მისი განცხადებები ერევნის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ დაცინვადაც კი მიიღო.

***— ანქვაბმა უკვე განაცხადა, რომ რუსეთი აფხაზეთის მოკავშირეა, რომ პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტის განხორციელებაში სოხუმს რუსული კაპიტალის იმედი აქვს. ეჭვგარეშეა, რომ ამ ტიპის განცხადებებს ნებისმიერი გამარჯვებული კანდიდატი გააკეთებდა. მაგრამ ჩვენთვის მთავარია, როგორი იქნება ანქვაბის დამოკიდებულება საქართველოსადმი და ამ თვალსაზრისით რა პოლიტიკას გაატარებს. სხვათა შორის, საპრეზიდენტო კამპანიის მსვლელობისას ანქვაბმა განაცხადა, რომ "საქართველოსთან ურთიერთობებს ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში მოაგვარებს“. ოფიციალური თბილისის მიმართულებით რა ნაბიჯებია მოსალოდნელი სოხუმის ხელისუფლების ახალი ხელმძღვანელისაგან?***

— ანქვაბმა არჩევნების დასრულების შემდეგ გააკეთა განცხადება, რომ სააკაშვილს არ დაელაპარაკება. ის, რომ ქართველებთან ურთიერთობა აუცილებელია აფხაზური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის, ეს ანქვაბმა რამდენჯერმე ახსენა. საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას რამდენჯერმე თქვა — „თუ ყველა მეზობელთან ნორმალური ურთიერთობა არ გვექნა, ისე აფხაზური სახელმწიფო ვერ აშენდება. დარწმუნებული ვარ, რომ ანქვაბი საქართველოსთან ურთიერთობის თემას სხვანაირად, არა „ჰო“-ს და „არა“-ს პრინციპით, არამედ უფრო ღრმად მიუდგება. ვერ გეტყვით, ეს მიდგომა იქნება თუ არა ჩვენი აფხაზეთთან დამეგობრებისკენ მიმართული და ჩვენთვის სასარგებლო. მაგრამ, ის, რომ ანქვაბი არ იქნება გაჩერებული, ცხადია. თუნდაც იმიტომ, რომ იგი საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ხშირად ახსენებდა მეზობლებთან ურთიერთობების მოწესრიგების თემას და ერთხელ ასეთი რამეც თქვა - როგორც არძინბამ აღნიშნა თავის დროზე, ჩვენ ქართველებს მუდმივად უნდა ველაპარაკოთ.

***— საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ანქვაბს მხარი დაუჭირა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის მოწვევის 9 დეპუტატმა. ანქვაბის მხარდამჭერებს შორის აღმოჩდნენ სოკრატ ჯინჯოლია, ოლეგ დამენია, სტანისლავ ლაკობა, რომლებსაც არაერთხელ განუცხადებიათ, რომ გალის რაიონის გარდა, ქართველების აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე დაბრუნება არასოდეს მოხდება. თქვენი აზრით, ამ საკითხში რამდენად შეიძლება აღმოჩნდეს ანქვაბი მხარდამჭერთა პოზიციის რეალურად გამზიარებელი?***

— როგორც ჩანს, ქართველების გალის რაიონში და აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე დაბრუნების საკითხი არ არის მარტო აფხაზების გადასაწყვეტი. ეს მთელი საერთაშორისო თანამეგობრობისა და მათ შორის რუსეთის საქმეც არის. ქართველების არდაბრუნების შესახებ გაკეთებული განცხადებები პოლიტიკურია. პოლიტიკური განცხადება ყოველთვის ითვალისწინებს იმ მომენტს, თუ რისი თქმაა საჭირო მოცემულ მომენტში.

**ინტერპრესნიუსი**

# სახელმწიფო გირგვლიანების ოჯახს 50 000 ევროს 26 ოქტომბრამდე გადაუხდის

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და თვლის, რომ სამინისტროს იურისტებსა და სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატებს სტრასბურგის სასამართლოს განჩინების შინაარსი სხვადასხვაგვარად ესმით.

— 2011 წლის 26 ივლისს ძალაში შევიდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი - საქართველოს წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილისა და კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევა დაადგინა. ამავდროულად ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მოთხოვნა, რომელიც კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) არსებითი მხარის დარღვევას უკავშირდებოდა. სასამართლომ ასევე უარყო განმცხადებლის პრეტენზიები კონვენციის მე-3 (წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა), მე-6 (სასამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) და მე-13 (უფლებათა დაცვის ეფექტიანი სამართლებრივი საშუალებების უფლება) მუხლების სავარაუდო დარღვევის შესახებ. ევროკონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ განმცხადებელს მიანიჭა 50 000 ევრო - მორალური ზიანის, ხოლო 388 ევრო მის მიერ გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით, — აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, როგორც სამინისტრო აცხადებს, განჩინების აღსრულების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში სახელმწიფო ევროპული სასამართლოს მიერ განმცხადებლისთვის მიკუთვნებული თანხის გადახდას განჩინებით განსაზღვრულ 3 თვიან ვადაში - 2011 წლის 26 ოქტომბრამდე უზრუნველყოფს და ამის შესახებ მინისტრთა კომიტეტს აცნობებს, რომელიც აღსრულების პროცესს ზედამხედველობას უწევს.

გარდა ამისა, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, „აღსრულების პროცედურა განჩინების ქართულ ენაზე თარგმნასა და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებას ითვალისწინებს და აღნიშნული ღონისძიების გატარება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო წესების მე-7 პუნქტის შესაბამისად, განჩინების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში მოხდება“.

შეგახსენებთ, რომ ოფიციალურმა თბილისმა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით გირგვლიანის ოჯახთან დავა წააგო. ევროსასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას დაზარალებული მხარისათვის 50 000 ევროს გადახდა დააკისრა.


სანდრო გირგვლიანი

გარდა ამისა, სასამართლო განმარტავს, რომ ობიექტურობის კუთხით აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ძალოვანი უწყებების მიერ წარმოებული გამოძიება ეჭვებს ბადებს.

სტრასბურგის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ გირგვლიანის ოჯახს საქმის ხელმეორედ გამოძიების მოთხოვნის უფლება ენიჭება.

სანდრო გირგვლიანი 2005 წლის 27 იანვარს ოქროყანის ტყეში აწამეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. დანაშაულში ეჭვმიტანილის სტატუსით კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის 4 თანამშრომელი - ალანია, ბიბილურიძე, ღაჭავა და აფციაური დააკავეს, რომელთაც 7-8 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მოგვიანებით მათ პრეზიდენტის შეწყალების შედეგად ჯერ სასჯელი გაუნახევრდათ, ხოლო შემდეგ ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ. სანდრო გირგვლიანის ოჯახი მკვლელობის დამკვეთებად შსს-ს მაღალჩინოსნებს ვასილ სანოძეს, დათა ახალაიას, ვასილ მელნიკოვს, გურამ დონაძეს, ასევე შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის მეუღლეს თაკო სალაყაიას ასახელებდა.

გირგვლიანის ოჯახის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ კი გუშინ იუსტიციის მინისტრს დაზარალებული მხარის ინფორმირება მოსთხოვა იმის შესახებ, თუ რა ქმედითი ღონისძიებებია დაგეგმილი სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

**ინტერპრესნიუსი**

# ბრაზილიასთან უვიზო მიმოსვლა გვექნება

## რუსეთში საქართველოს საკონსულოს შენობასართმევენ

ნათია ხურცილავა

**რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საკონსულოს შენობა შეიძლება ჩამოართვან. ამის მიზეზი, გავრცელებული ინფორმაციით, რუსული კერძო კომპანიის მეპატრონის გადაწყვეტილებაა, რომელმაც უკვე მიმართა სარჩელით სასამართლოს და სწორედ ამ გზით აპირებს მოსკოვში საქართველოს საკონსულოს გამოსახლებას.**

ასევე ცნობილი გახდა, რომ საკონსულოს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. აღნიშნულ ფაქტს ასევე ემატება საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასტუმროს შენობის ჩამორთმევა.

აღნიშნული სასტუმროს შენობა მოსკოვში მდებარეობს, რომელიც 2006 წელს საქართველოს უკანონოდ ჩამოერთვა.

საქართველოს საგარეო უწყება მოსკოვში მომხდარ ამ ორ ფაქტს ერთ ჭრილში განიხილავს და აცხადებს, რომ ამ საკითხზე სასამართლო დავა არ მიმდინარეობს, რადგან ეს საქმე სახელმწიფოთა შორის და არა სამართლებრივი დავის საგანია.

— ამას არა მხოლოდ ჩვენ მივიჩნევთ, არამედ მოსკოვიც იგივე მოსაზრების არის. შესაბამისად დიპლომატიურ უწყებებს შორის, ვენის კონვენციის გათვალისწინებით სასამართლო დავა არ მიმდინარეობდა. თუმცა, რეალური დავა ნოტების გაცვლის გზით მიმდინარეობს, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

ქართული მხარე კუთვნილი საკონსულოს სასტუმროს დაბრუნებას ითხოვს. თუმცა, ამ მოთხოვნაზე რუსული მხარისგან ასეთი პასუხი მიიღო საქართველომ, რომ აღნიშნული შენობა აუქციონის წესით იყიდება.

— ჩვენ დაველოდებით მოვლენების განვითარებას, თუმცა, იმავე გზით გავაგრძელებთ ურთიერობების გარკვევას. ნოტების გაცვლა შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს გავლით მიმდინარეობს. ჩვენ ამ საკითხებს კერძო სუბიექტებს შორის დავად არ განვიხილავთ. ორივე საკითხი არის ურთიერთკავშირში და განიხილება, როგორც სახელმწიფოთა შორისი საკითხი, — ამბობს კალანდაძე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც რუსეთის ფედერაციას უკავშირდება, ქართული მინერალური წყლის „ბორჯომის" დაბრუნებაა რუსეთის ბაზარზე.

რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტარის ონიშენკოს განცხადებით, თითქოს მას ქართულმა კომპანიებმა მიმართეს აღნიშნული თხოვნით.

რამდენად არის კავშირში ქართული პროდუქციის, „ბორჯომის" რუსულ ბაზარზე დაბრუნება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თანხმობის სანაცვლოდ, კალანდაძე ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს გადამოწმებული ინფორმაციით, ქართული კომპანიების მხრიდან მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია.



კალანდაძე ონიშენკოს ამ განცხადებას რუსეთის ფედერაციის მორიგ სპეკულაციად აფასებს, რომელიც მისი თქმით, მიბმულია სწორედ რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თანხმობის საკითხზე.

საქართველოს ხელისუფლების პოზიცია აღნიშნულ საკითხზე ურყევია, ფსოუსა და როკის გვირაბთან არსებული გამშვები-საკონტროლო პუნქტების ლეგალიზება.

აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება თავის პოზიციას, კალანდაძის განცხადებით, პოზიტიურად უპასუხებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს უკვე თავისი საელჩო ექნება მექსიკასა და ბრაზილიაში. საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა აღნიშნულ ქვეყნებში.

საქართველოს საგარეო უწყებაში ბრაზილიასა და მექსიკაში პირველი ქართველი დიპლომატის ვიზიტს წარმატებულად აფასებენ. მინისტრის ვიზიტს წინ პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტი უძღოდა.

ვიზიტის მიზანი, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ხალხთა შორის ურთიერთობების გარდა ეკონომიკური ურთიერთობების დაწყებაა.

საქართველოს ხელისუფლება, როგორც კალანდაძე აცხადებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან ურთიერობას სწორედ ეკონომიკურ ჭრილში.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც კალანდაძისგან ჟურნალისტებმა მივიღეთ, სავიზო რეჟიმის გამარტივებას ეხება.

ბრაზილიასთან საქართველოს სავიზო რეჟიმი გამარტივებული ჰქონდა. მეტიც, ერთი წლის განმავლობაში ბრაზილიის მოქალაქეებს უვიზოდ შეეძლოთ მიმოსვლა. ამჯერად აღნიშნული გადაწყვეტილება ბრაზილიურმა მხარემაც მიიღო.

კალანდაძის ინფორმაციით, შეთანხმებას უკვე ხელი მოეწერა და ძალაში ექვსი თვის ვადაში შევა.

90 დღის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ შეეძლებათ ბრაზილიის საზღვრის გადაკვეთა.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბარაკ ობამას და ბრაზილიის პრეზიდენტის ინიციატივაა, რომელსაც ჰილარი კლინტონის თხოვნით საქართველოც შეუერთდა.

„ღია მმართველობის პარტნიორობისათვის ინიციატივა" მიზნად ისახავს მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების გაერთიანებას 21-ე საუკუნის მმართველობასთან დაკავშირებით.

ამ ინიციატივით ამერიკის პრეზიდენტი დანარჩენ მსოფლიოს მმართველობის გამჭვირვალობისკენ, მეტი გახსნილობისკენ მოუწოდებს სახელმწიფო მმართველებს.

ინიციატივის მთავარი მიზანია, სწორედ სამოქალაქო სექტორი უფრო მეტად იყოს ჩართული აღნიშნულ პროცესში.

რამდენად შეუწყობს ხელს ობამას ინიციატივაზე ჩვენი ქვეყნის მიერთება საჯარო მმართველობის ეფექტურობის ამაღლებას, ამას დრო გვიჩვენებს.

— საქართველომ, როგორც რეგონში მოწინავე დემოკრატიულმა სახელმწიფომ, ეს ოფიციალური მომართვა მიიღო. საგარეო საქმეთა სამინისტროში მოვიდა ამერიკის სახელმწიფო მდივნის ოფიციალური წერილი თხოვნით, რომ საქართველო დაინტერესებულიყო ამ ინიციატივით და მიერთებოდა, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.



ნინო კალანდაძე

კალანდაძემ დასძინა, რომ საქართველო არამხოლოდ შეუერთდა ობამას ამ ინიციატივას, არამედ რეგიონში ანტიკორუფციული პროგრამების, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებულ პრაქტიკას გააცნობს დანარჩენ ქვეყნებს.

გასულ კვირას ვიკილიქსში გამოქვეყნებულ მორიგ სკანდალურ მასალას გამოეხმაურა ნინო კალანდაძე.

ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებული მასალით ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა ოფიციალურ ვაშინგტონს მისწერა, რომ თბილისი განაგრძობს რუსეთისთვის საჰაერო სივრცის გახსნას, რითაც მოსკოვი ერევანში ახდენს სამხედრო ტვირთების გადაზიდვას.

ოფიციალური თბილისის განმარტებით, რუსეთისთვის საჰაერო სივრცე არ იყო გახსნილი. კალანდაძის ინფორმაციით, საჰაერო სივრცე რუსეთთან 2008 წლამდეც დახურული იყო.

— რუსეთთან საჰაერო სივრცის გახსნასთან დაკავშირებით რუსეთის მომართვა არ დაკმაყოფილდა საქართველოს მხრიდან. მას შემდეგ მომართვას ადგილი არ ჰქონია. დღევანდელი მონაცემით ასეთი მომართვა ოფიციალურადაც არ განხორციელდება, რადგან გაუქმებული იქნა შეთანხმება, რომელიც საქართველოს პარლამენტთან არსებობდა, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ვიკილიქსის მიერ გავრცელებულ მასალებს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

# შაშკინმა პროფესიულ კოლეჯში სარემონტო სამუშაოები დაათვალიერა

ქობულეთის პროფესიულ კოლეჯში „ახალი ტალღა" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს. სამშენებლო სამუშაოებს დღეს მინისტრი დიმიტრი შაშკინი გაეცნო.



დიმიტრი შაშკინი

საერთო საცხოვრებელი მაღალმთიანი აჭარიდან, გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და სვანეთიდან 300-მდე სტუდენტს მოემსახურება.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, თანამედროვე სასტუმრო საშუალებას მისცემს სასწავლებელს ორგანიზება გაუკეთოს საერთაშორისო კონფერენციებს, ტრენინგებს, სემინარებს. ცენტრში სისტემატიურად ჩამოდიან უცხოელი სპეციალისტები, ტურიზმის დარგის კონსულტანტ-ექსპერტები, ხდება სტუდენტთა გაცვლა. ცენტრში საერთო საცხოვრებელის რეაბილიტაციასთან ერთად დამატებით — 30 კლასკაბინეტიც კეთდება. საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო გარემო გაზრდის კვალიფიციური კადრების მომზადების დონეს, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს აჭარის რეგიონში ტურიზმის განვითარებას.

**მედიანიუსი**

# აჭარის პირველკლასელებს ნეტ-ბუკები ჩაუტანეს

სკოლებში პირველკასელთა ნეტ-ბუკების „ბუკის" გადანაწილება მიმდინარეობს. 15 სექტემბრამდე კომპიუტერები საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლას გადაეცემა. 3500-მდე ნეტ-ბუკი აჭარის რეგიონს უკვე გადაეცა და სკოლებში მათი გადანაწილება მიმდინარეობს, — აცნობეს „მედიანიუსს" საქართველოს განათლების სამინისტროდან..



ბათუმის მე-10 საჯარო სკოლაში „ბუკების" შეტანის პროცესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი დაესწრო. მინისტრის მოადგილე სკოლაში პირველკლასელთა დამრიგებლების ტრენინგსაც დაესწრო და პედაგოგებსაც გაესაუბრა.

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ნეტ-ბუკი "ბუკი" საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა. მასში ჩატვირთულია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამოსობაში მყოფი სასკოლო პროგრამები: სახალისო მათემატიკა, ქართული, ბუნება, ხელოვნება, ბავშვებისთვის შექმნილი შემეცნებითი თამაშები. სპეციალურად საქართველოს სკოლებისთვის შექმნილი ნეტ-ბუკები 60 000 პირველკლასელს და მათ დამრიგებლებს საჩუქრად გადაეცემათ.

სასწავლო პროცესში ნეტ-ბუკების ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ ყველა პირველი კლასის დამრიგებელი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში გადაამზადა. ისინი ნეტ-ბუკების ფიზიკურ სტრუქტურასა და მასთან მუშაობას გაეცნენ. გარდა ამისა, მათ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გამდიდრებული გაკვეთილისა და სასწავლო პროექტების მომზადება ისწავლეს.

**მედიანიუსი**

# წელს გალის რაიონიდან სოციალური გრანტით 80-მდე სტუდენტი დაფინანსდება

წელს გალის რაიონიდან სოციალური გრანტით 80-მდე სტუდენტი დაფინანსდება.

როგორც „პირველს" გალის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა ნონა შონიამ განუცხადა, გალის რაიონიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა სულ 196-მა აბიტურიენტმა მიიღო.

— ჩარიცხულთა საბოლოო რაოდენობა მეორადი ჩარიცხვების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გახდება ცნობილი. სოციალური გრანტით მხოლოდ აკადემიურ პროგრამებზე 80-მდე სტუდენტი დაფინანსდება. რაც შეეხება პროფესიულზე ჩარიცხულ სტუდენტებს, მათი დაფინანსება რანჟირების წესით განხორციელდება. პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება მხოლოდ იმ სტუდენტებს ეძლევათ, რომლებმაც ზოგად უნარებში მინიმალური ზღვარი გადალახეს, — განუცხადა „პირველს" შონიამ.

მისივე თქმით, გამოცდებში მონაწილეობას როგორც ქართული, ასევე რუსული სკოლის მოსწავლეებიც იღებდნენ.

— ყოველწლიურად ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობას რუსული სკოლის 20-მდე კურსდამთავრებული ღებულობს. მიუხედავად იმისა, რომ იქ ქართული მხოლოდ ერთი საგანია, გამოცდებში საკმაოდ მაღალ შედეგებს იღებენ, — განმარტა შონიამ.

ცნობისთვის, გალის რაიონში სულ 31 სკოლა ფუნქციონირებს. მათგან 11 ქართულია. სოციალური გრანტით კი ის სტუდენტები ფინანსდებიან, რომლებიც კონფლიქტის ზონაში ბოლო 3 წელი სწავლობდნენ.

**პირველი**

# ლაგოდეხს წყალმომარაგება აღუდგა

ლაგოდეხში წყალმომარაგება აღდგა. 21 აგვისტოს წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები 98%-ით შესრულებულია და დასასრულს უახლოვდება, — აცნობეს „მედიანიუსს" რადიო „ჰერეთიდან".

— აღდგენილია ლაგოდეხის სათავე ნაგებობა, ზაქათალის ქუჩის 250 მეტრი სიგრძის ქსელი, გურამიშვილის 350 მეტრის, ლაგოდეხის საავადმყოფოს მომმარაგებელი 110 და სოფელ შრომაში შემავალი 40 მეტრი სიგრძის ქსელი. ამ დროისთვის წყალი ლაგოდეხის მოსახლეობის 98%-ს მიეწოდება, — განაცხადეს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში.

**მედიანიუსი**



## საქართველოში წლიურმა ინფლაციამ 7,2 პროცენტი შეადგინა

საქართველოში 2011 წლის აგვისტოში წლიურმა ინფლაციამ 7,2 პროცენტი შეადგინა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ინფორმაციით, 12-თვიან პერიოდში ამ მაჩვენებლის ჩამოყალიბებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე: ხორცისა და ხორცპროდუქტები 25,8; ზეთი და ცხიმი 20,2; შაქარი და ტკბილეული 19,2; რძე, ყველი და კვერცხი 18,1; პური და პურპროდუქტები 17,5; ხოლო ხილი და ყურძენი 15,6 პროცენტით გაძვირდა. 18,3 პროცენტით გაიზარდა ტრანსპორტის ფასი, ხოლო 20,5 პროცენტით საწვავის.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის აგვისტოში 2010 წლის აგვისტოსთან შედარებით ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ფასი 12,4 პროცენტით შემცირდა. კავშირგაბმულობის სფეროში კი ფასების 13,7-პროცენტიანი კლება აღირიცხა.

**მედიანიუსი**

## პენიტენციურ სისტემაში აფთიაქების ლიცენზირება გრძელდება

პენიტენციურ სისტემაში აფთიაქების ლიცენზირება გრძელდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან აცნობეს, რუსთავის 16 დაწესებულებაში ამიერიდან ლიცენზირებული აფთიაქი იმოქმედებს.

პარალელურად, ლიცენზია მიენიჭა თბილისის 12 და 7 დაწესებულებებში არსებულ აფთიაქებს.

მათივე ცნობით, პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში ყველა დაწესებულებაში ეგრეთ წოდებულ „წამლის სამარაგოებს“ ჯანდაცვის სამინისტროს სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანილი აფთიაქები სექტემბრის ბოლოს ჩაანაცვლებს.

დღეის მდგომარეობით, სისტემაში უკვე 12 ლიცენზირებული აფთიაქი ფუნქციონირებს. პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სერვისის სამოქალაქო სექტორთან გათანაბრება და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

**ინტერპრესნიუსი**

## მამის მკვლელი დააკავეს



სამართალდამცველებმა მამის განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი 33 წლის ზურაბ ცირეკიძე დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ზურაბ ცირეკიძემ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ბასრი საგნის გამოყენებით საკუთარ მამას არტემ ცირეკიძეს მრავალჯერადი დაზიანებები მიაყენა, რის შეგედადაც იგი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

დანაშაულის ჩადენის მოტივად შურისძიება სახელდება.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულია ასევე პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი 31 წლის ალექსანდრე გიგოლაშვილი.

გამოძიება შს მთავარ სამმართველოში სსსკ-ის 376-ე და 108-ე მუხლებით მიმდინარეობს.

**პირველი**

## მარშალის კუნძულების დროშით მცურავი ტანკერი დააკავეს

შსს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს II სამმართველოს (ბათუმი) კანონაღსრულებისა და საზღვაო უსაფრთხოების სამსახურმა, გატარებული ღონისძიებების შედეგად, ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე,ბათუმის ნავსადგურის გარე რეიდზე, მარშალის კუნძულების დროშით მცურავი ტანკერი დააკავა.

**მედიანიუსი**



გიორგი დემეტრაძე

## ლეიბორისტები დემეტრაძეს თავდებში უდგებიან

ლეიბორისტული პარტია ყოფილი ფეხბურთელისა და ამჟამად პატიმრობაში მყოფი გიორგი დემეტრაძის სურვილის შემთხვევაში მას შეწყალების სახელმწიფო კომისიის წინაშე სასჯელის პირობითი მსჯავრით შეცვლის თხოვნით უშუამდგომლებს.

ამის შესახებ „ლეიბორისტული პარტიის“ სპეციალურ განცხადებაშია ნათქვამი.

პარტიის საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ გუშინვე გიორგი დემეტრაძის საქმესთან დაკავშირებით საგანგებო დოკუმენტით საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოებს, საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებს, ევროპის საბჭოს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარ თომას ჰამერბერგსა და საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა.

— ჩვენ აღნიშნულ ორგანიზაციებს გიორგი დემეტრაძის საქმეზე სწრაფი მონიტორინგის განხორციელების თხოვნით მივმართავთ, რათა დავიცვათ არა ზოგადად პატიმრის უფლება, არამედ ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძის სიცოცხლე. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველს მივმართავთ, დღეიდანვე ამ უმძიმეს ფაქტზე პირადი უსწრაფესი მონიტორინგი განახორციელოს, — ნათქვამია „ლეიბორისტების“ განცხადებაში.

გარდა ამისა, „ლეიბორისტული პარტია“ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და სასჯელაღსრულების მინისტრ ხათუნა კალმახელიძისგან ვითარების გამოსასწორებლად უსწრაფესი ზომების მიიღებას მოითხოვს.

**პირველი**

## დღეიდან ტემპერატურა მოიმატებს



სინოპტიკოსების ცნობით, დედაქალაქში 6 აგვისტოდან ტემპერატურაც მოიმატებს და ჰაერი 25 გრადუსიდან 30 გრადუსამდე გათბება.

30 გრადუსზე მეტი სითბო იქნება ხვალ დასავლეთ საქართველოში, სადაც ამჟამად წვიმს.

როგორც სინოპტიკოსები ვარაუდობენ, დასავლეთ საქართველოში ხვალიდან გამოიდარებს და ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე თბილი და მშრალი ამინდები შენარჩუნდება.

**მედიანიუსი**

# გიორგი ლაღიძე: „სააკაშვილის მიერ პატიმრების შეწყალება სასაცილოა“

### რატომ ვერ იღებენ პატიმრები ნორმალურ დახასიათებას

შორენა გონგლაძე

„ხელისუფლებამ ქვეყანაში შერჩევითი სამართალი დაამკვიდრა, შეწყალებით თავისუფლდებიან ის ადამიანები, ვინც ითანამშრომლა სამართალდამცავ უწყებებთან, ხოლო სხვა პატიმრებს მიზანმიმართულად უქმნიან პროვოკაციულ სიტუაციებს, რათა სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობისგან არ მიიღოს დადებითი დახასიათება, რაც უმთავრესი მოთხოვნაა შეწყალების მიღების პროცესში“, — ეს განცხადება პარტია „მომავლი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ლაღიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.



გიორგი ლაღიძე

გიორგი ლაღიძის განცხადებით, შეწყალება, რომელიც განხორციელდა, ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც კანონითაა დადგენილი. გიორგი ლაღიძის განცხადებით, სიტუაციის გამოსასწორებლად საზოგადოების მიზანმიმართული და სამართლიანი პროტესტია საჭირო.

— ამ ხელისუფლების დევიზია — ყველა ციხეში. ყველას კარგად ახსოვს სააკაშვილის ცნობილი ფრაზები ნულოვანი ტოლერანტობა, აქედან გამომდინარე, მისი ხელქვეითები ამ მითითებას ზედმიწევნით კარგად ასრულებენ და ამის შედეგიც სახეზე გვაქვს. უამრავი დარღვევაა სასჯელაღსრულების სამინისტროში, მაგრამ კალმახელიძის უწყება ამას გულდასმით ჩქმალავს და ძირითადი ინფორმაცია სააშკარაოზე არ გამოდის, — ამბობს ლაღიძე.

მისი თქმით, ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმარს შეგნებულად უმძიმებენ მდგომარეობას და ის ვერ იღებს ნორმალურ დახასიათებას. ეს ხდება იმიტომ, რომ ადამიანი არ გავიდეს ციხიდან.

— სააკაშვილის მიერ გამოცემული შეწყალებები ძირითადად არის სასაცილო, ვინაიდან ათავისუფლებენ მათ, ვისაც დარჩენილი აქვს სასჯელის მოხდისათვის სულ რაღაც თვეები, მაშინ როდესაც, ათასობით ადამიანი იხდის სასჯელს, ვისაც რეალურად ეკუთვნის შეწყალება. მიმაჩნია, რომ სახელმწიფო პატიმართან უნდა იყოს ჰუმანური, თუ ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული, რა თქმა უნდა, მან კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს, მაგრამ მის მიმართ კანონი უნდა იყო ჰუმანური. შევარდნაძის დროს გაცლებით უფრო ჰუმანურად უდგებოდნენ პატიმრებს. რასაც ეს ხელისუფლება შეწყალებას არქმევს, ეს რეალურად შეწყალება არ არის, ეს არის ხელისუფლების კიდევ ერთი ფარსი, — აცხადებს გიორგი ლაღიძე.

მისივე განცხადებით, ხელისუფლება ხალხის მოტყუებას საარჩევნოდ ფართომასშტაბიანი შეწყალების გამოცემით შეეცდება.

— საერთო ჯამში, უნდა ითქვას, რომ საქართველოში არის შერჩევითი სამართალი და არახალი ფაქტია ის, რომ სასამართლოები არ გვაქვს, ეს სფერო მონოპოლიზებულია ორი ადამიანის მიერ, ეს არის მერაბიშვილი და ადეიშვილი, ისინი განაგებენ ამ უწყებებში ყველაფერს და ადეიშვილს სასამართლომდე გამოაქვს პატიმრებზე უკვე განაჩენი. მაგრამ ხელისუფლებას წინ აქვს ამ კუთხით ძალიან დიდი სამუშაო, ეს მოხდება წინასაარჩევნოდ, როდესაც ხელისუფლება მოსახლეობას კიდევ ერთხელ გადაუყრის ფოჩიან კანფეტებს, გამოსცემენ შედარებით ფართომასშტაბიან შეწყალებას და ჩვენი საზოგადოება კიდევ ერთხელ შევა შეცდომაში, ამის შედეგი რაც იქნება, ეს ყველამ კარგად ვიცით. ჩვენ ვიცით, რომ სააკაშვილს მფარველობენ, მაგრამ ჩვენი საზოგადოება უნდა შეეცადოს, რომ რეალობას გაუსწოროს თვალი და მომავალ არჩევნებზე ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ ეს ხელისუფლება წავიდეს არჩევნების გზით, — განაცხადა ლაღიძემ.

## პატიმარ ოვაკინიანზე ზეწოლა ხორციელდება

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ სასჯელაღსრულების გლდანის №8 სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელობას პატიმარ რუდიკ ოვაკინიანის წამებაში ადანაშაულებს.

როგორც პრესკონფერენციაზე „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ დირექტორმა უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, მას შემდეგ, რაც რუდიკ ოვაკინიანის წამებასთან დაკავშირებით მათ პრესკონფერენცია დაგეგმეს და ინფორმაცია გაავრცელეს, სასჯელაღსრულების სამინისტრომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის მოთხოვნა და სამკურნალო დაწესებულებიდან გადაიყვანეს ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა დაწესებულებაში. მისი განცხადებით, მანამდე პატიმარი გლდანის სამკურნალო დაწესებულებაში არაადამიანურ და ღირსებისშემლახველ პირობებში იმყოფებოდა.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტის ნინო ანდრიაშვილის განცხადებით, პატიმარ რუდიკ ოვაკინიანზე სასჯელაღსრულების მე-8 სამკურნალო დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის უფროსის გიორგი ავსაჯანიშვილის მხრიდან ხორციელდებოდა ზეწოლა.

როგორც ანდრიაშვილმა აღნიშნა, ერთ დღეს, როდესაც მსჯავრდებულთან შესული იყო ექთანი წნევის გასასინჯად, დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გიორგი ავსაჯანიშვილმა ექთანს სთხოვა დაეტოვებინა მსჯავრდებულის ოთახი, რადგან პატიმარი არ საჭიროებდა მოვლას და მზრუნველობას. უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ოვაკინიანს შეუწყვიტა ბარათით, ტელეფონით, აბაზანით სარგებლობის უფლება და ასევე, აუკრძალა სუფთა ჰაერზე გასეირნება.

ანდრიაშვილის თქმით, ავსაჯანიშვილმა მსჯავრდებულს უთხრა: „მიწერ საჩივრებს, აქედან მხოლოდ მორგის საშუალებით გააღწევ“. იურისტის, ამის შემდეგ მსჯავრდებული ამზადებს საჩივრებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის, „ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის“ და სახალხო დამცველისთვის. თუმცა საჩივრის გაგზავნის უფლებას დაწესებულების თანამშრომლები არ აძლევდნენ.



უჩა ნანუაშვილი

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ პატიმარზე განხორციელებული ზეწოლის გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას ითხოვს. პატიმარ რუდიკ ოვაკინიანს მისჯილი აქვს 16-წლიანი პატიმრობა. მას ბრალი დაედო ნარკოდანაშულში.

**ინტერპრესნიუსი**

## სავაჭრო-სამრეწველო პალატა ახალ მომსახურებას დანერგავს

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა 2011-2013 წლების გეგმების განსახორციელებლად ახალ მომსახურებას დანერგავს. ეს განცხადება პალატის პრეზიდენტმა კახა ბაინდურაშვილმა დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანზაციების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრისას გააკეთა. მისი თქმით, პალატა პროექტ „იოლი სერტიფიკატის“ განხორციელებას აპირებს. მის ფარგლებში მოხდება წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის ელექტრონიზაცია და ყველა ტიპის სერტიფიკატის ფორმების დანერგვა.

დაგეგმილია პროექტ „არბიტრის“ განხორციელება. მის თანახმად, სავაჭრო-სამრეწველო პალატა კორპორატიული დავებისათვის მიუკერძოებელ და სამართლიან არბიტრაჟს შექმნის. ერთ-ერთი ახალი სერვისი „ბოოკ.გე“ იქნება. მისი მეშვეობით ნებისმიერი ქართველი და უცხოელი მომხმარებელი საქართველოს სასტუმროებზე ინფორმაციის მოპოვებას და ადგილების ელექტრონულად დაჯავშნას შეძლებს.

პალატის ორგანიზებით ასევე დაინერგება სერვისი „მოიძიე პარტნიორი“. საერთაშორისო პალატებში გაერთიანებისა და სხვა პალატებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების გზითა და ფორუმების ორგანიზებით პალატა ქართველ ბიზნესმენებს პარტნიორი ინვესტორის პოვნის საშუალებას მისცემს. ერთ-ერთი სიახლე „ბიზნესნიუსი“ იქნება. ეს არის ელექტრონული ბიულეტენი, რომელიც ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებსა და ორგანიზაციებს ქართულ ბიზნესსა და ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებზე დაეგზავნება. ასევე იგეგმება სპეციალური გამოშვებები ქართული ბიზნესისათვის, რომელიც მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს ასახავს და ა.შ.



კახა ბაინდურაშვილი

**მედიანიუსი**

## დეპუტატებმა 6 თვეში 153 350 ლიტრი საწვავი გახარჯეს

პარლამენტის წევრებმა 6 თვეში 153 350 ლიტრი საწვავი გახარჯეს.

დეპუტატთა საწვავის ხარჯებზე საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა ავრცელებს.

პარლამენტის აპარატის მიერ საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად ირკვევა, რომ დეპუტატების ავტომანქანებისთვის გაწეულმა ხარჯმა 2010 წელს, 279 250 ლიტრი შეადგინა, ხოლო 2011 წლის 6 თვეში ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯმა 153 350 ლიტრი.

პარლამენტის წევრებს 53 ერთეული ავტომანქანა ემსახურება.

**ინტერპრესნიუსი**

# „მიმინოს“ პერსონაჟებს ძეგლს დაუდგამენ

ეკა ირემაშვილი

სომხეთის ქალაქ დილიჟანის შემდეგ საქართველოს დედაქალაქში კინორეჟისორ გია დანელიას ფილმის „მიმინოს“ გმირების“ ძეგლი დაიდგმება. „მიმინოს“ პერსონაჟებს ძეგლი გაზაფხულზე სომხეთში გაუხსნეს. გახსნის საზეიმო ცერემონიალზე საქართველოდან სომხეთში ოფიციალური დელეგაცია ჩავიდა, მათ შორის მომღერალი ბუბა კიკაბიძეც იყო.

გია დანელიას ფილმში მთავარი გმირების რუბენ ხაჩიკიანისა და ვალიკო მიზანდარის როლებს ფრუნზიკ მკრტიჩიანი და ბუბა კიკაბიძე ასრულებენ. როგორც მომღერალი აღნიშნავს, იგი აქტიურად აგრძელებს ურთიერთობას მისი მეგობრის შთამომავლებთან. ფრუნზიკ მკრტჩიანის ძმის შვილიშვილი რუსეთში მოღვაწე კინორეჟისორია და თავის ახალ კომედიაში „ბაბუა 005“ იღებს. ეს როლი სცენარში სპეციალურად ბუბასთვის იქნა შეტანილი. გადაღებები სევანის ტბაზე დაიწყო და ბათუმში გაგრძელდა. ფილმის მეორე ნაწილის გადაღება კი რუსეთშია დაგეგმილი.

ბუბა კიკაბიძე რუსეთში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა რეზიკო გიგინეიშვილმაც გადაიღო თავის ახალ ფილმში. ის ამ ზაფხულს ბათუმში იმყოფებოდა. კინოკადრში ბუბა კიკაბიძე ნანი ბრეგვაძესთან ერთად მოხვდა და ოქროს ქორწილიც გადაიხადეს.

მომავალში ბუბა კიკაბიძეს ახალ ფილმში ერევანში მოღვაწე კიდევ ერთი რეჟისორი გადაიღებს. ფილმი სასიყვარულო კომედიაა, სადაც ქართველი მომღერალი და მსახიობი მწერლის როლს შეასრულებს. გადაღებები სავარაუდოდ ერთ თვეში უნდა დაიწყოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ფილმში მონაწილეობას ერთადერთი ქართველი — ბუბა კიკაბიძე მიიღებს და იგი მთავარ როლს შეასრულებს.

როგორც მომღერალ ბუბა კიკაბიძის პროდიუსერმა სოსო აბზიანიძემ გვითხრა, ავლაბრის სკვერში „მიმინოს“ პერსონაჟების ძეგლი 14 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნება.

კინოფილმ „მიმინოს“ გმირების ძეგლი მეტროსადგურ „ავლაბართან“ მდებარე სკვერში დაიდგმება. თბილისში „მიმინოს“ გმირების ოთხი სკულპტურა განთავსდება. ავლაბარში ბუბუა კიკაბიძის, ფრუნზიკ მკრტჩიანის, ევგენი ლეონოვისა და გია დანელიას ძეგლებს დადგამენ. ქანდაკებების ავტორი რუსეთში მოღვაწე ქართველი მოქანდაკე და მხატვარი ზურაბ წერეთელია. მან ეს სკულპტურები საქართველოს უსასყიდლოდ გადმოსცა. ფილმის გმირთა ქანდაკებები საქართველოში აგვიტოს ბოლოს ჩამოიტანეს და სკვერში ახლად დადგმული სკულპტურები პოლიეთილენის ლურჯი პარკით შეფუთეს.




თბილისის მერია კინოფილმის გმირების ძეგლის გახსნაზე კომენტარს არ აკეთებდა და მხოლოდ იმას აცხადებდა, რომ „ეს სიურპრიზი უნდა ყოფილიყო“, თუმცა უკვე ცნობილი გახდა, რომ „მიმინოს“ პერსონაჟების ძეგლი თბილისში 14 ოქტომბერს გაიხსნება.

ავლაბრის სკვერში ძეგლის გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ კი შეკრებილი საზოგადოება უკვე დიდ საკონცერტო დარბაზში გადაინაცვლებს, სადაც ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირის, ვალიკო მიზანდარის როლის შემსრულებლის, ბუბა კიკაბიძის კონცერტი გაიმართება.

**სოსო აბზიანიძე, ბუბა კიკაბიძის პროდიუსერი:**

— 14 ოქტომბერს გია დანელიას კინოფილმ „მიმინოს“ გმირების ძეგლი ავლაბრის სკვერში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება, რის შემდეგაც ყველანი ფილარმონიაში გადავინაცვლებთ, სადაც ბუბას კონცერტი გაიმართება.

***— 14 ოქტომბერი ბატონი ბუბასთვის რაიმეთი არის გამორჩეული;?***

— არა. 14 ოქტომბერი ნამდვილად არ არის მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული თარიღი. ჩვენ უბრალოდ ეს დღე ავარჩიეთ ძეგლის გასახსნელად და ბუბას კონცერტის ჩასატარებლად. შემოდგომაზე უნდოდა ბუბას თბილისში კონცერტის ჩატარება და ეს დღე უბრალოდ დაემთხვა.

***— კონცერტი მხოლოდ ბუბა კიკაბიძე მიიღებს მონაწილეობას თუ მისი მეგობრებიც?***

— ჯერ არ ვიცით. ამ საკითხზე ჯერჯერობით ვმუშაობთ და გადაწყვეტილი არაფერია.

***— ვინ დადგამს ბატონი ბუბუას კონცერტს?***

— ჩვენი არჩევანი რეჟისორ დავით დოიაშვილზე შეჩერდა. ჩვენ ამ წუთებში შოუს პროგრამას დავით დოიაშვილთან ერთად ვგეგმავთ.

***— სომხეთიდან დელეგაციას ელოდებით?***

— რა თქმა უნდა. არა მარტო სომხეთიდან, ჩვენ ველოდებით მეგობრებს უკრაინიდანაც. მათთან ბუბას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს და მიდის კიდეც მოლაპარაკებები ერთობლივი ფილმის გადაღებაზე.

***— ფრუნზიკ მკრტიჩიანის შთამომავლები თუ ეწვევიან თბილისს?***

— დიახ. 14 ოქტომბერს თბილისში ფრუნზიკ მკრტიჩიანის ძმას და ძმისშვილს ველოდებით.

***— სკულპტურების ავტორი — ზურაბ წერეთელი თუ ჩამოვა საქართველოში?***

— რა თქმა უნდა. ამ ძეგლების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე თბილისში ზურაბ წერეთელი სპეციალურად ჩამოვა.

***— რა ეღირება ბუბა კიკაბიძის კონცერტზე დასასწრები ბილეთები?***

— 14 ოქტომბერს დაგეგმილ კონცერტზე ბილეთები არ გაიყიდება. დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით იქნება.

***— საქართველოს გარდა, კიდევ სად გაქვთ დაგეგმილი კონცერტები?***

— ბუბას კონცერტები მრავლად აქვს. ახლახან ლონდონიდან დავიწყეთ კონცერტები, სადაც მე-17 საუკუნის კათოლიკურ ეკლესიაში ჩავატარეთ საღამო. მერე ვიყავით მოლდოვაში, ბალტიაში. ვილნიუსში ტელევიზიის დარბაზში გვქონდა კონცერტი. სამომავლოდ ოქტომბერში კონცერტები გვაქვს თურქეთში, იტალიაში, ესპანეთში და საბერძნეთში.

# ბექა გოჩიაშვილი ჯაზ-პიანისტთა კონკურსის ნახევარფინალშია

ეკა ირემაშვილი

15 წლის ქართველი ჯაზშემსრულებელი ბექა გოჩიაშვილი საერთაშორისო ჯაზპიანისტთა კონკურსის „თელონიუს მონკი“ ნახევარფინალში მოხვდა.

ჯაზპიანისტთა კონკურსში მონაწილეობის სურვილი 3.000-მა მსურველმა გამოთქვა. ათასობით აპლიკაციიდან, რომელიც ინსტიტუტს მთელი მსოფლიოდან გაუგზავნეს, ნახევარფინალისთვის მხოლოდ 12 კონკურსანტი შეირჩა. მათ შორის აღმოჩნდა ქართველი ბექა გოჩიაშვილიც. კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ 30 წლამდე შემსრულებლებს. ჯულიარდის საერთაშორისო დეპარტამენტის დირექტორის, ნონა შენგელაიას თქმით, კონკურსი ყველაზე პრესტიჟულია ჯაზის სფეროში.

ბექა გოჩიაშვილი უკვე 2 წელია ჯულიარდის სკოლაში სწავლობს, ერთგვარი გამონაკლისის სახით, რადგან ჯაზის დეპარტამენტში მისი ასაკის არავინ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ბექა გოჩიაშვილი ჯერ მხოლოდ 15 წლისაა, მან არაერთ მნიშვნელოვან კონცერტში და ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. ქართველმა ჯაზმენმა დაუკრა პრაღაში, გამოვიდა ბათუმის შავი ზღივს ჯაზფესტივალზე. თბილისში ჯაზკლუბში კი ახალგაზრდა ქართველი ჯაზმენის ბექა გოჩიაშვილის საღამოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუაც დაესწრო. ბექა გოჩიაშვილმა საკუთარი რეპერტუარიდან რამდენიმე ნაწარმოები და კომპოზიცია შეასრულა.

ბექა გოჩიაშვილმა 13 წლის ასაკში შვეიცარიის ქალაქ მონტროში გამართულ ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსზე გაიმარჯვა. ამ კონკურსის ისტორიაში ყველაზე მცირეწლოვანი შემსრულებელი პირველი ქართველი აღმოჩნდა, ვინც ამ პრესტიჟულ კონკურსში მონაწილეობდა. შვეიცარიაში ჯაზფესტივალის პარალელურად ახალგაზრდა პიანისტთა, გიტარისტთა და ვოკალისტთა კონკურსი უკვე 11 წელია იმართება. ფესტივალზე საკმაოდ ძლიერი კონკურსანტები მონაწილეობდნენ. 90 გამომსვლელთა შორის ყველაზე ხანგრძლივი ოვაციები, ბექა გოჩიაშვილმა დაიმსახურა. სპეციალისტებმა მას პატარა ვირტუოზი უწოდეს. ვირტუოზს აზერბაიჯანელ შემსრულებელთან ერთად პირველი ადგილი მიანიჭეს.

ბექა გოჩიაშვილს მუსიკალური ნიჭი ორი წლის ასაკში აღმოაჩნდა, უკვე 4 წლისა ფორტეპიანოზე გარკვეულ კომპოზიციებს უკრავდა. სამი წლის ასაკში მან სკოტ ჯოპლინი დაუკრა. ბექას მამაც პიანისტია, ალბათ სწორედ ამან განაპირობა მისი მუსიკისკენ ლტოლვა. 2002 წელს ჩააბარა მუსიკალურ სკოლაში, მონაწილეობდა სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში. ბექას მოპოვებული აქვს არაერთი დიპლომი — ახალგაზდა მუსიკოს-შემსრულებელთა ქართულ-გერმანულ ფესტივალში მონაწილეობისთვის, პეტრე ჩაიკოვსკის 165 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობისთვის, წელს გერმანიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისთვის. 9 წლიდან ეუფლება ჯაზის ხელოვნებას ზურაბ რამიშვილის ხელმძღვანელობით. ბექა ლატვიაში მონაწილეობდა ჯაზის ფესტივალში ცნობილ მუსიკოსებთან — ლენი უაითთან და ვიქტორ ბეილისთან ერთად, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ მეათე საერთაშორისო ფესტივალში „ქართველები უკრავენ ჯაზს“.

ბექა გოჩიაშვილის პირველი წარმატება საქართველოში კონდოლიზა რაისის ჩამოსვლას უკავშირდება. სასტუმრო კოპალაში პატარა ბიჭმა თამაზ ყურაშვილთან ერთად დაუკრა. ქებამ კონდოლიზა რაისის მოწონება დაიმსახურა.

ჯულიარდის სკოლაში ჯულიარდის უცხოეთთან ურთიერთობის დირექტორის ნონა შენგელაიას დახმარებით აღმოჩნდა. პირველ წელს ბექა გოჩიაშვილი დაიწუნეს, მეორე წელს კი მასწავლებელთან ზურა რამიშვილთან ერთად დუეტში დაუკრა. ჯულიარდს აქვს პრეკოლეჯი და კოლეჯი, მაგრამ ვინაიდან პრეკოლეჯს არ აქვს ჯაზის განყოფილება, მათ დაუშვეს გამონაკლისი და პრეკოლეჯში გახსნეს ჯაზის ფაკულტეტი სწორედ ბექა გოჩიაშვილის გამო.

ბექა გოჩიაშვილი ნიუ-იორკში ჯაზკლუბ „კრეორეში“ დადის და ყოველ სამშაბათს უკრავს. მას უცხოელი ჯაზმენები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ქართველი ჯაზმენის პირველი კონცერტიც ნიუ-იორკთან არის დაკავშირებული, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. მეორე კონცერტი უკვე ატლანტაში გამართა. შემდეგ იყო — კრეორე, ბერდლენდი. ბექა გოჩიაშვილი უკრავს როგორც ჰერბი ჰენკოკის, ჯარეტის, ჩიკ კორეას რეპერტუარს, ასევე ჯაზსტანდარტებსაც დიდი წარმატებით ასრულებს.

ქება გოჩიაშვილი თბილისში ტრიოსთან ერთად ჩამოვიდა და კონცერტიც გამართა. დრამერი ოთხი წელი უკრავდა ჰერბი ჰ ენკოკთან, ბასისტი კი თელონიუს მონკის გამარჯვებულია. ბექა სოლო შესრულებისგან თავს იკავებს, რადგან მისი აზრით, არა მხოლოდ მუსიკალური, ცხოვრების უფრო მეტი გამოცდილება უნდა ჰქონდეს, რომ კარგად დაუკრას. პიანისტს მიაჩნია, რომ კეიტ ჯარეტს გავს და მისგან რაღაც მანერებიც აქვს აღებული, რადგან 4 წლიდან სწორედ მას უსმენს და ეს ბუნებრივიცაა.

საერთაშორისო ჯაზპიანისტთა კოკნურსის ნახევარფინალი, რომელშიც ბექა გოჩიაშვილი მოხვდა, 11 სექტემბერს გაიმართება, ხოლო ფინალი 12 სექტემბერს კენედი ცენტრში, ვაშინგტონში შედგება. პრიზი პირველი ადგილისთვის 25 000 დოლარია, რომლის ნახევარიც მუსიკალური განათლების ამაღლებას ან გამარჯვებულის კარიერულ წინსვლას მოხმარდება.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)**

**განცხადებები**

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვებავარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

# გვარდიოლა: „მესის მარტო შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა“

ესპანეთის ჩემპიონატი საინტერესოდ დაიწყოო ვერ ვიტყვით — ჯერ მადრიდის „რეალმა“ 6:0 გაანადგურა „სარაგოსა“, შემდეგ კი „ბარსელონამ“ 5:0 მოუგო „ვილიარეალს“. შედეგები თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ეს მთლიან ჩემპიონატს ინტრიგას ვერ შემატებს და უკვე ნათელი ხდება, რომ ამ ორი გრანდის დუელში ჩარევას კი არა, მიახლოვებასაც ვერავინ გაბედავს.

წიწილები კი გაზაფხულზე დაითვლება, როდესაც ჩემპიონატის დასასრულს მიუახლოვდება. მანამდე კი კატალონიური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა პეპ გვარდიოლამ „ვილიარეალთან“ მატჩზე ისაუბრა. გარდა ამისა, შეაქო გუნდის ახალწვეული სესკ ფაბრეგასი. მწვრთნელმა ხავიერ მასკერანოსა და სერხიო ბუსკეტსის დაცვის ცენტრში თამაშზეც გააკეთა მცირე კომენტარი.

***— გიკვირთ თუ არა, რომ „ბარსელონამ“ „ვილიარეალი“ ადვილად დაამარცხა?***

— ყველასთვის ცნობილია, რომ ბოლო 8-10 წლის განმავლობაში „ვილიარეალთან“ თამაში გვიჭირდა. კმაყოფილი ვარ, რადგან გამარჯვებას კარგი თამაშის წყალობით მივაღწიეთ.

***— დაცვის ხაზში თქვენმა ექსპერიმენტმა გაგვაოცა. უჩვეულო ვარიანტი მოიფიქრეთ.***

— დიახ, მაგრამ სამი მცველით თამაში სარისკო იყო. მით უმეტეს, ორი ფეხბურთელი — მასკერანო და ბუსკეტსი საყრდენი ნახევარმცველები არიან. ადრე ასე არასდროს გვითამაშია. ამის შესახებ ფეხბურთელებს 2-3 დღის განმავლობაში ველაპარაკებოდით და მათ ყველაფერი კარგად გაითავისეს, რადგან მაღალი საფეხბურთო ინტელექტი აქვთ.

***— აღიარებთ, რომ ეს მეტისმეტად სარისკო იყო?***

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ მასკერანოსა და ბუსკეტსის შესაძლებლობები კარგად ვიცოდით. როსისა და ნილმარის წინააღმდეგ 3 მცველით თამაში ძალიან სახიფათოა, მაგრამ ჩვენთვის ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

***— ფეხბურთელთა ქებით არასდროს იღლებით.***

— მათი ქებით არასდროს დავიღლები. ჩვენი გამარჯვებები მათი დამსახურებაა.

***— ბევრი სპეციალისტი ფიქრობდა, რომ მას შემდეგ, რაც მესიმ მოსამზადებელი ეტაპი თითქმის მთლიანად გამოტოვა, რიტმში ჩადგომა გაუჭირდებოდა და ძველებურად ვეღარ ითამაშებდა.***

— ძალიან კარგად ვიცით, ვინ არის ლეო მესი. ვიცნობთ მის შესაძლებლობებს. დიახ, მას ზაფხულში ბევრი არ უვარჯიშია, მაგრამ უკვე დაამტკიცა, რომ მარტოს შეუძლია ამა თუ იმ მატჩის ბედის გადაწყვეტა.

***— რა კრიტერიუმით არჩევთ გუნდისთვის ახალ ფეხბურთელებს?***

— მთავარია, რომ ისინი ჩვენს სათამაშო სტილს კარგად ერგებოდნენ. „ბარსაში“ მაღალი დონის ბევრი ფეხბურთელია, მაგრამ მათ უკან არიან ადამიანები, რომლებსაც თამაში სურთ. ჩვენი ძალაც ამაშია.

***— ამის გამო გამოტოვა რამდენიმე ლიდერმა „ვილიარეალთან“ მატჩი?***

— დიახ, გვინდოდა, რომ ხავისა და ვილიას დაესვენათ. ნახევარდაცვაში ასე არასდროს გვითამაშია. კეიტა, ინიესტა, ფაბრეგასი და ალკანტარა ერთად დავაყენეთ.

***— ამან რა მოგცათ?***

— ჩვენი ნახევარდაცვა თამაშს ყოველთვის აკონტროლებს. ყველაფერი კარგად მიდის, როცა არ დუნდები და 90 წუთის განმავლობაში მობილიზებული ხარ. ეს ფეხბურთელები ამას შესანიშნავად აკეთებდნენ.

***— როგორ შეაფასებდით სესკ ფაბრეგასის თამაშს?***

— ახალ გუნდში თავის დამკვიდრება ყოველთვის ძნელია, მაგრამ სესკმა ეს ძალიან მალე შეძლო. როდესაც გოლი გაიტანა, მოდუნდა და მისი ნამდვილი შესაძლებლობები დავინახეთ.

***— ალექს ფერგიუსონმა „არსენალის“ გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხების შემდეგ არსენ ვენგერი დაიცვა. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

— აბსოლუტურად ვეთანხმები ფერგიუსონს. ცოტაა ისეთი სპეციალისტი, რომელმაც გუნდისთვის ამდენი გააკეთა. ვენგერმა „არსენალს“ მრავალი წელი მიუძღვნა. ამ გუნდს თავისი სახე აქვს. როდესაც „არსენალის“ სახელს ვახსენებთ, ყველას მისი თამაშის სტილი წარმოგვიდგება თვალწინ. ეს ვენგერის დამსახურებაა.

***— და მაინც, რა მოხდა „ოლდ ტრაფორდზე“?***

— მარცხის მიზეზი რამდენიმეა: ფაბრეგასისა და ნასრის წასვლა. ასევე, უილშერის ტრავმა.

# ქართველი კალათბურთელების დასანანი მარცხი

**საქართველო — ბულგარეთი 69:79**

(15:19, 22:15, 18:18, 14:26)

**საქართველო:** ვ.ბოისა (3ქ,5მ), ფაჩულია (13ქ,6მ), ცინცაძე (1ქ), მარკოიშვილი (13ქ), სანიკიძე (18ქ,9მ), გამყრელიძე, შერმადინი, ჰეინსი (15ქ), შენგელია (6ქ,5მ), ცქიტიშვილი

**ბულგარეთი:** დ.ივანოვი (12ქ,6მ), კ.ივანოვი (15ქ,9მ), როულანდი (25ქ), კოსტოვი, ვიდენოვი (9ქ,7პ), მარინოვი (9ქ), ავრამოვი (9ქ), ზ.გეორგიევი, ა.გეორგიევი, ველიკოვი, ბანევი, ვარბანოვი



საქართველოს ნაკრებს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, რათა შემდეგ უკრაინის ნაკრებზე არ ყოფილიყო დამოკიდებული. ბულგარელებთან გამარჯვება თითქოს პრობლემა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

მატჩი ბულგარელთა უპირატესობით დაიწყო და ბარჩევსკის შეგირდები 5:2 დაწინაურდნენ, მალევე ჩვენებმა თამაში გამოასწორეს, ლაღადაც ათამაშდნენ და 3-წუთიან მონაკვეთში რაც უნდოდათ, ყველაფერი გამოსდიოდათ. შედეგმაც არ დააყოვნა და მეოთხედის შუაში წინ სოლიდურად გაიჭრნენ — 15:7. თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, მაგრამ დარჩენილ 4,5 წუთში ჩვენებმა ქულის აღებაც ვერ მოახერხეს, რითიც კარგად ისარგებლეს ბულგარელებმა და 19:15 მათ სასარგებლოდ.

მეორე მეოთხედი ჰეინსის სამქულიანით დაიწყო, რასაც შენგელიას ორი ქულა მოჰყვა და წინ უკვე ქართველები არიან. თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა — ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხანაც — მეორე, თუმცა ფაჩულიასა და შენგელიას აქტიურობის შემდეგ ქართველთა უპირატესობამ 5 ქულა შედგინა — 33:28. აქ უკვე ბულგარელთა ლეგიონერი ერლ როულანდი გააქტიურდა, რომელმაც ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ ტაიმის ბოლო წამს ფაჩულიამ ზუსტად გაისროლა და 37:34 ქართველთა სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ თამაში როულანდის სამქულიანით და ანგარიშის გათანაბრებით განახლდა, თუმცა ფაჩულიამ, ბოისამ და სანიკიძემ ჩვენებს 6-ქულიანი უპირატესობა დაუბევეს. ბულგარელები მაინც არ გატყდნენ და ანგარიში ისევ გაათანაბრეს. ამ დროს ტრავმა მიიღო ნაკრების კაპიტანმა ფაჩულიამ და მოედნის დატოვება მოუხდა. თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა და მხოლოდ ჰეინსის ბოლო წამს ნასროლმა სამქულიანმა მესამე მეოთხედის ბოლოს 55:52 დააფიქსირა ჩვენების სასარგებლოდ.

დასკვნითი ათწუთეულის დასაწყისი პანიკის უფლებას არ გვაძლევდა — სანიკიძემ ორქულიანთან ერთად ჯარიმაც სუტად ესროლა — 58:52. ეს სხვაობა ტაბლოზე დიდხანს რჩებოდა, მხოლოდ 2.50 წუთით ადრე როულანდის ზედიზედ მოპოვებული 5 ქულის შემდეგ ანგარიში გათაბრდა — 67:67. ერთ წუთში უკვე ივანოვის ზუსტი სროლებით 5 ქულას ბულგარელები იგებდნენ, რასაც ავრამოვმა და მარინოვმა კიდევ დაუმატეს და ბოლო წუთები ბულგარელთა სრული უპირატესობით ჩამთავრდა — 79:69.

# იაღლიში ინტერულად

ოპაა, არიფები მარტო ქართველები არ ვყოფილვართ და შეცდომები მარტო ჩვენ არ მოგვდის. მილანის „ინტერსაც“ ისეთი რამ შეემთხვა, საქართველოშიც კი მონაგონი იქნება. საქმე ის არის, რომ მილანელები მადრიდის „ატლეტიკოდან“ ნაყიდ და დიდი პომპეზურობით წარდგენილ ურუგვაელ თავდამსხმელს, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელ დიეგო ფორლანს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ გამოიყენებს, რაც „ნერაძურის“ ხელმძღვანელებმა მხოლოდ მაშინღა შეიტყვეს, როცა უეფაში საჩემპიონთალიგო განაცხადს აგზავნიდნენ.

მიზეზი კი ის არის, რომ ურუგვაელმა თავდამსხმელმა ამ სეზონში უკვე ითამაშა ევროტურნირზე — მან „ატლეტიკოს“ შემადგენლობაში ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ნორვეგიულ „სტრომსგოდსეტთან“ იასპარეზა.

„ინტერში“ კი 32 წლის ფორლანი აგვისტოს მიწურულს გადავიდა. შესაბამისად, მას წელს „ინტერის“ ფორმით ევროტურნირებზე თამაშის უფლება არ აქვს. „ინტერში“ კი, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, სანამ უეფაში განაცხადი არ გადაგზავნეს, ეს არავინ იცოდა. მილანური კლუბის ბოსები ფორლანის წარდგენისას ხშირად საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ რამდენად წაადგებოდათ „ატლეტიკოდან“ 5 მილიონ ევროდ შეძენილი თავდამსხმელი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, სადაც „ნერაძური“ მოსკოვის ცსკასთან, „ლილთან“ და „ტრაბზონსპორთან“ ერთად ითამაშებს, ახლა კი შეიტყვეს, რომ ფორლანს 2012 წლამდე ევროსარბიელზე ვერ გამოიყენებენ.

იოლი წარმოსადგენია, როგორ დასცინებდა იტალიური პრესა „ინტერს“ და მისი ბოს მასიმო მორატის. ირონიის მიღმა კი, იტალიის ჟურნალისტები გულდაწყვეტილები წერენ, „ინტერის“ იმიჯის თვალსაზრისით უდიდესი ზიანი მიადგა, მსოფლიო დონის კლუბს ასეთი შეცდომა არ უნდა გაეპაროსო.

„გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, მორატი ამ ამბის გამო ისეა განრისხებული, რომ თავისი მენეჯერების სასტიკად დასჯას აპირებს და გამორიცხული არაა, რომ უმრავლესობა გაათავისუფლოს.

„ინტერისთვის“ კარგი მხოლოდ ისაა, რომ მილანელებს ურუგვაელი თავდამსხმელი მხოლოდ 5 მილიონი ევრო დაუჯდათ და კიდევ ის, რომ ფორლანი ძალიან კარგ ფორმაშია.

# პრანდელი კრიტიკას პასუხობს

იტალიის ნაკრები აგრძელებს გუშელმატკივართა გაოცებას. „სკუადრა აძურამ“ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სტუმრად მხოლოდ 1:0 მოუგო ფარერის კუნძულების ნაკრებს და სწორედ ამ გამარჯვებას არ პტიობენ იტალიელი ჟურნალისტები „სკუადრა აძურას“ თავკაც ჩეზარე პრანდელის, რომელსაც უსუსურ ფარერებთან მინიმალური ანგარიშით გამარჯვება წარუმატებლობად ჩაუთვალეს და გააკრიტიკეს.

მატჩის დასაწყისში ანტონიო კასანოს მიერ გატანილი გოლი ფარერის კუნძულებზე იტალიელთა მხრიდან ერთადერთი გამოდგა და მართალია, „აძურიმ“ თავისი საყვარელი ანგარიშით მოიგო, მაგრამ მიმომხილველებს სუსტ მეტოქესთან ასეთი მწირი მოგება ეცოტავათ.

უნდა ითქვას, რომ მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენცია დიდი კმაყოფილება არც თავად პრანდელის ეტყობოდა — მწვრთნელმაც აღიარა, რომ შეგირდების თამაშით უკმაყოფილო იყო.

თუმცა, თამაშის მეორე დღეს „გაძეტა დელო სპორტმა“ ვერ მოისვენა და ისეთები დაიწერა, რომ პრანდელი წყობიდან გამოვიდა. მწვრთნელმა მეორე დღესვე საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც ძირითადად იმაზე ისაუბრა, რომ ზუსტად იცის, იტალიის ნაკრები დროთა განმავლობაში თამაშს აუცილებლად გააუმჯობესებს.

პრანდელიმ „აძურის“ თავკაცად დაინიშვნისთანავე განაცხადა, რომ აქცენტი სწრაფ ფეხბურთზე და მოკლე პასებზე გაკეთდებოდა და დასძინა, რომ უნდა შევეცადოთ, ისე ვითამაშოთ, როგორც ამას „ბარსელონა“ და ესპანეთის ნაკრები აკეთებსო. იტალიელმა ჟურნალისტებმა ჩეზარეს სწორედ ეს სიტყვები გაუხსენეს და ფარერებთან 1:0-ის შემდეგ, პირდაპირ ვთქვათ, მაგრად დასცინეს.

— როცა იტალიის ნაკრების მწვრთნელად დავინიშნე, ნამდვილად ვთქვი, „აძურიში“ ტაქტიკა უნდა შევცვალო-მეთქი და ნამდვილად ვამბობდი იმასაც, რომ გაცილებით სწრაფი ფეხბურთი უნდა გვეთამაშა, მაგრამ იტალიის ნაკრები „ბარსელონასთვის“ ან ესპანეთისთვის არასდროს შემიდარებია. მაშინ უბრალოდ ვთქვი, რომ ამას ყველაზე კარგად ესპანელები და ბარსელონელები აკეთებენ. იტალია ბარსელონა არ არის და ვერც იქნება, რადგან კატალონიაში ფეხბურთელები სწრაფი ფეხბურთის მოკლე პასებით თამაშს ბავშვობიდან სწავლობენ, ჩვენ კი ასეთი ფეხბურთის თამაშს მხოლოდ ახლაღა ვსწავლობთ, — განაცხადა პრანდელიმ.

ფარერებთან მატჩში პრანდელიმ თავის შეგირდებს მოტივაციის პრობლემაც შეამჩნია და ზოგადად, გუნდის შემართებით უკმაყოფილოა:

— თამაშის შემდეგ მთელი ღამე არ მეძინა და ღამით მატჩს განმეორებით ვუყურე. სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ თამაში კარგად დავიწყეთ, მეორე ტაიმში ჩემს ფეხბურთელებს ბევრი წუნი ჰქონდათ. ზოგადად სწორ გზას ვადგავართ და ვერავინ იტყვის, რომ ეს ასე არ არის. იტალიის ნაკრები კვლავინდებურად სოლიდური გუნდია, რომელსაც შესარჩევ ციკლში წაგება არ აქვს და მხოლოდ ერთი ფრე ითამაშა. თუმცა ფაქტია, რომ მომდევნო მატჩებში უფრო უკეთესი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, თუმცა აქვე იმასაც ვიტყვი, რომ სლოვენიასთან ძირითად შემადგენლობაში ბევრს არაფერს შევცვლი, — დასძინა პრანდელიმ.

# ხუბუტია „სამსუნსპორში“ გადავიდა, კვარაცხელია ისრაელშია

საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრალურმა მცველმა, აკაკი ხუბუტიამ თურქული სუპერლიგის „სამსუნსპორთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება ასეთი სახისაა — ხუბუტია ისევ რუმინულ „გაზ მეთანს“ ეკუთვნის და გაისად ზაფხულს სამსუნელებს ფეხბურთელის გამოსყიდვის პრიორიტეტული უფლება ექნებათ.

„სამსუნსპორი“ წლეულს გადავიდა სუპერლიგაში და თურქული მედიის ვარაუდით, ეს გუნდი ათეულში დაიმკვიდრებს ადგილს.

„სამსუნსპორს“ ბოსნიელი ვლადიმირ პეტკოვიჩი წვრთნის, რომელიც წლეულს მივიდა კლუბში, მანამდე კი 3 წელი თავკაცობდა შვეიცარიულ „იანგ ბოიზს“ და გასულ სეზონში ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა გუნდი, იქიდანაც გავიდა და პლეი ოფში წააგო „ზენიტთან“.

25 წლის ხუბუტიამ ბოლო 2 სეზონი გაატარა „გაზ მეთანში“ და თითქმის მუდმივად შეუცვლელად თამაშობდა, სადაც 56 მატჩი ჩაატარა და 2 გოლიც გაიტანა.

23 წლის ქართველი თავდამსხმელი, ვახტანგ კვარაცხელია ისრაელის უმაღლესი ლიგის კლუბ ფეთაჰ -თიკვას „ჰაპოელშია“, რომელიც გასულ სეზონში მე-14 ადგილზე გავიდა, ხოლო მიმდინარე სეზონში ორ ტურში ერთი ქულა აქვს. ამ ინფორმაციას იქაური მედია ავრცელებს, თუმცა საუბარი ჯერ მხოლოდ ვარაუდებით არის.

— თითქმის გადაწყვეტილია, რომ კვარაცხელია კონტრაქტს გააფორმებს, — აღნიშნულია ვებგვერდზე.

კვარცხელიამ ბოლო ერთი წელი ქუთაისის „ტორპედოში“ გაატარა, მანამდე კი უთამაშია „თბილისში“, ბათუმის „დინამოში“, ცხინვალის „სპარტაკში“, ლიტვურ „ვეტრასა“ და თბილისის „ვიტ ჯორჯიაში“. კვარაცხელიას საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებშიც იძახებდნენ.

ჰო, ფეტაჰ-თიკვას „ჰაპოელს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს (წინა კვირას დანიშნეს) გილი ლანდაუს სახით.

ახალგაზრდა ქართველმა ნახევარმცველმა, მერაბ გიგაურმა პირველად ითამაშა პოლონური „იაგელონიის“ შემადგენლობაში. ეს ტესტ-მატჩში მოხდა, რომელშიც გიგაურის გუნდმა ვარშავის „ლეგიასთან“ 0:1 წააგო. 18 წლის გიგაური 62-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა.

გიგაურმა გასული სეზონი ქუთაისის „ტორპედოში“ გაატარა და „იაგელონიაში“ ერთწლიანი იჯარითაა, თუმცა, საბოლოო გამოსყიდვის პრიორიტეტული უფლება პოლონურ კლუბს ექნება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| მექსიკა-ჩილე | 1:0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ნუმანსია-ხიმნსტიკი | 0:0 |
| კარტახენა-ბარსელონა ბ | 0:4 |
| დეპორტივო-ერკულესი | 0:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| უელვა-სელტა | 1:2 |
| ბრეშა-ემპოლი | 2:1 |
| ასკოლი-ვიჩენცა | 1:1 |
| ბარი-ალბინოლეფე | 2:3 |
| ვერობა-სასუოლო | 1:0 |
| ლივორნო-ნოჩერინა | 0:2 |
| კროიტონე-იუვე სტაბია | 0:0 |
| მოდენა-პესკარა | 3:2 |
| სამპდორია-გუბიო | 6:0 |
| ჩოტადელა-პადოვა | 1:4 |
| ტორინო-ვარეზე | 2:0 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| მადეირა-გიმარაეში | 1:4 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ამერიკა-ვასკუ | 4:1 |
| გრემიო-ატლეტიკო(პ) | 4:0 |
| კურიტიბა-კორინთიანსი | 1:0 |
| პალმეირასი-კრუზეირო | 1:1 |
| ფლამენგო-ბაია | 1:3 |
| სეარა-ინტერნასიონალი | 1:1 |

**არგენტინა. აპერტურა**

| | |
|---|---|
| სან მარტინი-არხენტინოსი | 0:0 |
| უნიონი-რაფაელა | 0:1 |
| ინდეპენდიენტე-ბოკა | 0:1 |
| ოლიმპო-ველეჟი | 2:1 |

**კალათბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| დ.ბრიტანეთი-პორტუგალია | 85:73 |
| ისრაელი-ლატვია | 91:88 |
| მაკედონია-ფინეთი | 72:70 |
| უკრაინა-საქართველო | 53:69 |
| თურქეთი-პოლონეთი | 83:84 |
| საფრანგეთი-იტალია | 91:84 |
| საბერძნეთი-ჩერნოგორია | 71:55 |
| რუეთი-ბულგარეთი | 89:77 |
| ესპანეთი-ლიტვა | 91:79 |
| სერბეთი-გერმანია | 75:64 |
| სლოვენია-ბელგია | 70:61 |
| ხორვატია-ბოსნია | 80:92 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია ჩემპიონატი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ნადალი-ნალბანდიანი | 7:6;6:1;7:5 |
| მიულერი-კუნიცინი | 6:1;6:4;6:4 |
| ფერერი-მაიერი | 6:1;6;27:6 |
| როდიკი-ბენეტო | 6:1;6:4;7:6 |
| დელ პოტრო-სიმონი | 6:4;6:7;2:6;6:7 |
| ჩელა-იანგი | 5:7;4:6;3:6 |
| ისნერი-ბოგომოლოვი | 7:6;6:4;6:4 |
| მიურეი-ლოპესი | 6:1;6:4;6:2 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| კერბერი-ნიკულესკუ | 6:4;6:3 |
| პენი-პენეტა | 4:6;6:7 |
| სტოსური-კირილენკო | 6:2;6:7;6:3 |
| ლისიცკი-ზვონარევა | 2:6;3:6 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედით საიტზე atb.ge



## დღის კალენდარი

**5 სექტემბრისთვის**

**წლის 249-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 116 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

მე-13 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. სამშაბათი

ღირსისა სერაპიონ სასწაულმოქმედისა, ნათლისმცემლის მონასტრის (გარეჯის უდაბნოში) წინამძღვისა (1747); მღვდელმოწამისა ევტიქისა, მოციქულ იოანე ღმრთისმეტყველის მოწაფისა (I-II); მოწამისა ტატიონესი (305); მოწამისა სირასი, სპარსელი ქალწულისა (558); ღირსისა გიორგი ლიმნელისა (VIII).

მღვდელმოწამე ევტიქი, წმიდა მოციქულთა იოანე ღვთისმეტყველისა და პავლეს მოწაფე, I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. დაიბადა პალესტინის ქალაქ სებასტიაში. უფლის ურყევი რწმენის გამო მან მრავალი ტანჯვა გადაიტანა. მეორე საუკუნის დასაწყისში ევტიქის თავი მოჰკვეთეს.

წმიდა მოწამე ტატიონე ცხოვრობდა ბეთანიაში და იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს ევნო.

ქალწული სირა სპარსელი იყო. მან ქრისტეს რჯული გაითავისა და შეიყვარა. ამის გამო სირას ბევრი ტანჯვა მიაყენეს.

ღირსი გიორგი ლიმნიოტელი VIII საუკუნეში ცხოვრობდა და კონსტანტინოპოლის მახლობლად მდებარე ოლიმპიის სავანის ბერი იყო. ევნო ხატმბრძოლი იმპერატორის ლევ ისავრის დროს.

### დაიბადნენ:

ბაკურ იბერიელი — IV საუკუნის ბიზანტიელი მხედართმთავარი და ფილოსოფოსი. ის ბერძნულ-ლათინურ წყაროებში ხან მეფედ მოიხსენიება, ხან მეფის შთამომავლად. როგორც სარდალს, მონაწილეობა მიუღია გუთებთან ადრიაპოლისა (378) და ტირან ევგენიოსის წინააღმდეგ (394) ბრძოლებში.

1766 — ჯონ დალტონი, ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი. მან პირველმა აღწერა მისი სახელით ცნობილი მხედველობის დეფექტი.

1849 — ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი, საბავშვო მწერალი.

1888 — ჯოზეფ პატრიკ კენედი, ამერიკელი ფინანსისტი, ბიზნესმენი და პოლიტიკოსი, აშშ-ს პრეზიდენტის ჯონ კენედის მამა.

1928 — ევგენი სვეტლანოვი, რუსი დირიჟორი, კომპოზიტორი, პიანისტი.

### გარდაიცვალნენ:

1566 — სულეიმან I, თურქეთის სულთანი.

1701 — ჯეიმზ II, ინგლისის მეფე.

### მოვლენები:

1620 — ხომალდი „მეიფლაუერი“ 149 მგზავრით ინგლისიდან ამერიკაში გაემგზავრა.

1852 — მანჩესტერში პირველი უფასო ბიბლიოთეკა გაიხსნა.

1917 — რიგა უბრძოლველად ჩაბარდა გერმანელებს.

1939 — სამხრეთ აფრიკამ ომი გამოუცხადა ნაცისტურ გერმანიას.

1991 — საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის დამოუკიდებლობა სცნო.

1997 — დაკრძალეს დიდი ბრიტანეთის პრინცესა დაიანა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

ჩილე — ეროვნული ერთიანობს დღე.
სვაზილენდი — დამოუკიდებლობის დღე.
პაკისტანი — თავდაცვის დღე

**მედიანიუსი**

# მართლმადიდებლური ფესტივალი იწყება

*ეკა ირემაშვილი*

საერთაშორისო მართლმადიდებლური ფესტივალი „წმინდა ანდრიას ჯვარი“ აჭარაში გაიმართება და მასპინძელი ბათუმის დრამატული თეატრი იქნება. წლევანდელი ფესტივალიც ტრადიციულად, ფილმების მრავალფეროვნებით იქნება გამორჩეული. ფესტივალის დევიზია „დიდებამაღალთა შინა ღმერთსა, მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება“.

მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „წმიდა ანდრიას ჯვარი“სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესი ილია II ლოცვა კურთხევით ასოციაცია „მეოხმა“ დააფუძნა. ფესტივალის ორგანიზატორია ბათუმის არტ-სტუდია „მუზა“. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დაარსებიდან დღემდე ამ ფესტივალს აქტიურად უჭერს მხარს.

ფესტივალის მიზანია ქრისტიანულ სამყაროს დაანახოს და გააცნოს საქართველოს ისტორიული წარსული, ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობა და დღევანდელობა. აგრეთვე, თავადაც გაეცნოს ქრისტიანული ქვეყნების თანამედროვე ცხოვრებასა და ხელოვნებას. ფესტივალი გახდეს ტრადიციული თავისი მასშტაბურობით. დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი საერთაშორისო ფესტივალთა შორის. ბათუმი კი იქცეს საერთაშორისო საფესტივალო ქალაქად.

ფესტივალში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოსა და საზღვარგარეთის რეჟისორებს, სახელმწიფო ტელეკომპანიებს. აგრეთვე კერძო პირებს, რომლებიც ქმნიან ფილმებს მართლმადიდებლურ თემატიკაზე. ფესტივალის კონკურსზე მიიღება მხატვრული, დოკუმენტური ფილმი, ტელეფილმები, ტელეპროგრამები, ტელეგადაცემები. კონკურსზე გამოგზავნილი ფილმების ქრონომეტრაჟი არ იზღუდება.

საკონკურსო ნამუშევრები შესარჩევ კომისიას უნდა წარედგინოს, რომელიც განიხილავს გამოგზავნილ ნაშრომებს და თუ ისინი შეესაბამება კონკურსის პირობებს, მათ ჟიურის გადასცემს. შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილებით ფესტივალის მონაწილეებს ეგზავნებათ მოწვევა ფესტივალზე. შესარჩევ კომისიას უფლება აქვს უარყოს ნამუშევარი ტექნიკური მიზეზებით, აგრეთვე, შინაარსის მიხედვით, თუკი ის მართლმადიდებლური რწმენის შემლახავია.

ფესტივალს „წმინდა ანდრიას ჯვარი“ დაწესებული აქვს ნომინაციები, რომლებიც ირჩევა სამი კატეგორიით — დოკუმენტური ვიდეოფილმები, ტელეპროგრამები — ტელეგადაცემები და მხატვრული, სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ვიდეოფილმები. ყველა ნომინაცია ფასდება შემდეგნაირად — გრან პრი, საუკეთესო დოკუმენტური ფილმი, საუკეთესო ტელეპროგრამა — ტელეგადაცემა, საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო ოპერატორი, საუკეთესო მონტაჟი, საუკეთესო მუსიკალური გაფორმება, საუკეთესო ხმის ოპერატორი, საუკეთესო სცენარისტი, საუკეთესო მხატვარი. ჟიურის გადაწყვეტილებით კონკურსს შესაძლოა დაემატოს სხვა ნომინაციები. ჟიური აგრეთვე უფლებამოსილია არ გამოიყენოს ზოგიერთი ნომინაციის სახე. ყველა ნომინაციას შეეფარდება თავისი პრიზი. ნომინაციაში გამარჯვებული და მთავარი პრიზის მფლობელი დაჯილდოვდება მაღალმხატვრული ღირებულების მქონე პრიზით. ფესტივალის პირობების თანახმად, ყველა სპონსორს, ორგანიზატორს და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დააწესონ სახელობითი პრიზები, რომლითაც დაჯილდოვდება როგორც კონკურსანტი, ისე მთავარი პრიზის მფლობელი. ფესტივალის ორგკომიტეტის გადაწყვეტილებით, ყველა მონაწილეს გადაეცემა სამახსოვრო მედალი — სიგელ-გუჯარით. ფესტივალის ემბლემად კი შეირჩა ჯვარი და ვაზის ერთობლიობა. მისი ავტორი მოქანდაკე ირაკლი წულაძეა.

ფესტივალის დამფუძნებელი ასოციაცია „მეოხი“ დაფუძნებულია თბილისში 1998 წელს. ის არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაცია. ასოციაციის თავმჯდომარეა მარიანა კალანდარიშვილი, ხოლო ხელმძღვანელი — კინოოპერატორი გიორგი გელაშვილი. ასოციაცია „მეოხის“ მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა შემოქმედთა ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენას და მათი პროფესიული საქმიანობის სრულყოფას, გააშუქოს ახალგაზრდობის პრობლემები, დაეხმაროს ახალგაზრდობას საკუთარი ისტორიისა და კულტურის უკეთ გაცნობასა და შესწავლაში. ამიტომაც აწყობს კონკურსებს, ტელეხიდებს, ტელემარათონებს, ფესტივალს ქმნის სხვადასხვა სახის ტელე-ვიდეო და აუდიო პროდუქციას (დოკუმენტური ფილმები, რეკლამა, ფოტო გამოფენა, ტელესერიალები), აწესებს სხვადასხვა სახის პრემიებს, ქმნის ვიდეოტექნიკით აღჭურვილ ტურისტულ ჯგუფებს, რომელთა მარშრუტში შედის ისტორიისა და ბუნების საგანძურები, რომელთა შესახებაც იქმნება დოკუმენტური თუ საგანმანათლებლო სახის ფილმები; ქმნის ახალგაზრდულ პროფესიულ კლუბს, აწყობს კონფერენციებს სემინარებს და დისკუსიებს.




როგორც ფესტივალის ორგანიზატორები განმარტავენ, ფესტივალისთვის ეს სახელწოდება შემთხვევით არ შეურჩევიათ. საეკლესიო გადმოცემის, მამათა ნაწერების და უცხოური თუ ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, წმინდა ანდრია მოციქულმა სამგზის იქადაგა საქართველოში. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ სულთმოფენობის დღეს მოციქულებმა ღვთის ნებით წილი ყარეს, თუ ვის სად უნდა ექადაგა. მოციქულებს შორის წილისყრაში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელიც იღებდა მონაწილეობას. ღვთის განგებით, საქართველო დედაღვთისას ერგო. მაგრამ, როგორც ქართლის ცხოვრება გვამცნობს, ღვთისმშობელს მაცხოვარი გამოეცხადა და აუწყა, რომ მალე ამა სოფლიდან გავიდოდა. მაშინ წმინდა მარიამმა მოიხმო მოციქული ანდრია, უამბო გამოცხადების შესახებ და მოსაქცევად ჩააბარა მისი წილხვედრი საქართველო. თან ლოცვა-კურთხევასთან ერთად ფიცარზე აღბეჭდილი თავისი ხელთუქმნელი ჩვილედის ხატი გაატანა.

საქართველოში ქადაგებისას წმინდა ანდრიამ შემუსრა მრავალი კერპი, აღმართა რკინის ჯვრები, დააარსა ეკლესიები, რაზედაც საისტორიო წყაროების გარდა დღემდე შემორჩენილი გადმოცემები თუ უხვი ტოპონიმიკა მეტყველებს. ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი წმინდა ანდრიას იფარავდა და მრავალ სასწაულს აღავლენდა საქართველოში სამოციქულო გზებზე. ბოლოს აწყვერში დაბრძანება ინება, რათა უფლის ნებით მკვიდრობდეს მცველად ქართველთა უკუნისამდე ჟამთა.

ფესტივალის „წმინდა ანდრიას ჯვარის“ ორგანიზატორებმა 15 ფილმი უკრაინიდან უკვე მიიღეს და ამავე საკითხზე 17 ქვეყნიდან პასუხს ისევ ელოდებიან. ფილმების მიღება 30 სექტემბრამდე იქნება შესაძლებელი, ხოლო წლევანდელ საიუბილეო წელთან დაკავშირებით, ნაჩვენები იქნება დოკუმენტური, მხატვრული და სტუდენტების მიერ მომზადებული ფილმებიც. ჩაფიქრებულია ფესტივალის საიუბილეო კატალოგის გამოცემაც და ფესტივალისთვის სპეციალურად შექმნილი წმინდა ანდრიას ჭედური ხატის პრეზენტაციაც, რომლის ავტორიც მხატვარი ჯემალ ხიმშიაშვილია.

— ჩვენს ფესტივალში მონაწილეთა განაცხადების მიღება უკვე დაწყებულია. ბოლო ვადა 20 სექტემბერია. რეჟისორებს უკვე აქვთ შესაძლებლობა საკუთარი ნამუშევრები საკონკურსო პროგრამაში ჩართონ. გასულ წლებში ჩვენს ფესტივალზე ათეულობით ქვეყნის 100-მდე ფილმი ვუჩვენეთ. იმედი გვაქვს, რომ წელს ფესტივალში მონაწილე ფილმების რაოდენობა გაიზრდება. საუკეთესოებს სელექციის სახით გადავარჩევთ და ჟიურის მიერ შერჩეულ ფილმებს უკვე ბათუმის დრამატულ თეატრში შემოდგომაზე ვუჩვენებთ, — ნათქვამია ფესტივალის ორგანიზატორთა მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ნანა ვერულაშვილის განცხადებით, თითქმის ყველა მსურველს მონაწილეობის მისაღებად ანკეტები უკვე დაეგზავნა. 30 სექტემბერს ფესტივალის სრული პროგრამა უკვე შედგენილი იქნება. ფილმები მაღალმხატვრული ღირებულებებით უნდა გამოირჩეოდეს და რაც მთავარია, უნდა აკმაყოფილებდეს ფესტივალის მთავარ მოთხოვნას — კანონიკურობის დაცვას.

— კომპეტენტურ ჟიურის, რომლის შემადგენლობაშიც არიან სასულიერო პირები და უცხოელი რეჟისორები, ტრადიციისამებრ, კინომცოდნე მარინე კერესელიძე უხელმძღვანელებს. ფესტივალის მაღალ დონეზე ჩასატარებლად მუშაობა უკვე დავიწყეთ. შევარჩევთ ფესტივალში მონაწილე საუკეთესო ფილმებს, რომლებიც მართლმადიდებლურ თემატიკაზეა გადაღებული. გვექნება ნომინაციები — საუკეთესო სრული და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, საუკეთესო ტელეგადაცემა და ტელესიუჟეტები, ასევე ნომინაცია საუკეთესო სტუდენტური ფილმი. შარშანდელ ფესტივალში 7 ქვეყანა — საქართველო, გერმანია, რუსეთი, პოლონეთი, ლიტვა, ბელორუსი და უკრაინა მონაწილეობდა. ვიმედოვნებთ, წელს მათი რიცხვი უფრო გაიზრდება. ჟიურის შემადგენლობაში იქნებიან სცენარისტი და პროდიუსერი თამარ ბართაია, ეროვნულ ხელნაწერთა ცენტრის დირექტორი ბუბა კუდავა, მამა ბასილი. მიმდინარეობს მოლაპარაკებები უცხოელ რეჟისორებთანაც, ყველაფერი კი სექტემბრის ბოლოს გახდება ცნობილი. ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა მსოფლიოში ცნობილმა პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ, რომელიც შესაძლოა მომავალში თანაორგანიზატორად და ჟიურის წევრადაც კი მოგვევლინოს. ფესტივალზე „წმინდა ანდრიას ჯვარი“ ყოველწლიურად სპეციალური პრიზებით ვაჯილდოებთ გამოჩენილ პიროვნებებს ქვეყნის ეროვნული და სულიერი კულტურის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის. ტრადიცია არც წელს დაირღვევა და ქართულ ხუროთმოძღვრებაში შეტანილი წვლილისთვის გამოჩენილ მხატვარსა და მოქანდაკეს ოთარ დარჩიას დავაჯილდოებთ. მის მიერ შექმნილი ბარელიეფები, რელიეფები და კანკელი დღეს რეგიონის უამრავ ეკლესიას ამშვენებს. ფესტივალის გახსნისა და დახურვის საზეიმო ცერემონია ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართება. ვინაიდან ქალაქს უკვე გააჩნია მაღალი დონის კინოთეატრი, ჩვენებებს, სავარაუდოდ, „აპოლოში“ გავმართავთ, — აცხადებს ნანა ვერულაშვილმა.

აჭარაში მართლმადიდებლური ფილმების რიგით მეექვსე ფესტივალი 18-დან 22 ოქტომბრის შუალედში ჩატარდება. ფესტივალი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და ბათუმისა და ლაზეთის მეტროპოლიტის დიმიტრის წინამძღოლობით გაიმართება.




## კროსვორდი ბ

შვეულად: 1. წმინდა ოქრო; 2. მდინარის მონატანი სილა, ღორღი, თიხა; 3. დედამიწის აგებულების და შედგენილობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. სხეულის ან მისი ნაწილების ნატურალური სიდიდის მოდელი თვალსაჩინოებისათვის; 5. ყურძნის დასაწური გულამოღებული ხის მოგრძო ჭურჭელი; 9. უსინათლოთათვის შრიფტის შემქმნელი ფრანგი ტიფლოპედაგოგი; 12. უღელტეხილი კავკასიონზე; 14. ბუდისტთა საკულტო ნაგებობა ჩინეთსა და იაპონიაში; 15. ყველაზე დაბალი რეგისტრის, ჩასაბერი სპილენძის მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. მამალი ცხვარი; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო.

თარაზულად: 6. სოფელი ხევსურეთში; 7. სახელმწიფო ევროპაში; 8. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 10. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 11. ფუნდამენტალური სამეცნიერო ნაშრომი; 13. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ყოველწლიური წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 16. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 19. ქართველი მოქანდაკე, როდენის მოწაფე; 20. მხარე გერმანიაში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. კარამელი; 6. პრომეთე; 8. სულთანი; 10. დოლბანდი; 11. ასპიტი; 13. კრამიტი; 16. კიდობანი; 18. ბაქი; 19. არარა; 21. კვარტა; 22. ანტრაქტი; 23. თათმანი.

**შვეულად:** 1. კარაკასი; 2. კეგლი; 3. კომპანია; 4. კედელი; 7. ანწლი; 9. ოტელი; 12. ატრაქციონი; 14. საკურა; 15. „კარმენი“; 17. ტანდემი; 20. კვოტა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ფატა; 2. ლა; 3. იარდი; 4. სია; 5. რა; 6. ალუმინი; 7. ატრია; 8. ენა; 9. კანა; 10. არქტოგეა; 11. კაბინეტი; 12. იზაი; 13. ტიტული; 14. ქონდრიტი; 15. სტენდალი; 16. ტუნიკა; 17. ჩარი; 18. კანონი; 19. ირინე; 20. ექო; 21. არმია; 22. რემარკი; 23. ლემა; 24. ლულა; 25. ლირა; 26. ამონიტი; 27. პაი; 28. ტრიპტიქი; 29. კალია; 30. ხბო; 31. რაკეტა; 32. ლაბლაბო.

**სურათებზე:** ოდრი ტოტუ; არიენ რობენი.

# რომს ახალი ვანდალები შეესივნენ



იტალიის დედაქალაქ რომში სამი არქიტექტურული ძეგლი ვანდალების სამიზნე შეიქნა. პირველი თავდასხმის შედეგად დაზიანდა პიაცა ნავონაზე მდებარე შადრევანის ქანდაკება.

კამერებმა დააფიქსირეს, თუ როგორ მოამტვრია ვილაც მამაკაცმა ქანდაკებას მარმარილოს ორი ფრაგმენგი.

შადრევანი, სადაც მუზეუმში გაგზავნილი ძველი ორიგინალები მე-19 საუკუნეში ახალი ქანდაკებებით შეცვალეს, სერიოზულად არ დაზიანებულა.

პიაცა ნავონას ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ ტურისტებმა შეამჩნიეს, რომ ვილაც უცნობმა ტრევის შადრევანის ერთ-ერთ ფიგურას ქვა ესროლა. მან სამიზნეს ააცდინა, მაგრამ მისი საქციელი კამერებმა დააფიქსირეს.

იტალიის პილიცია ვარაუდობს, რომ ორივე თავდასხმაში შესაძლოა ერთი და იგივე პიროვნება მონაწილეობდა.

მესამე ინციდენტი რომის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ღირსშესანიშნაობასთან, კოლიზეუმთან მოხდა. ამფითეატრის ერთ-ერთ კედელზე ამერიკელი სტუდენტი აძვრა, რომელმაც სუვენირის სახით მარმარილოს რამდენიმე ნატეხის მომტვრევა სცადა.

მიმომხილველების თქმით, იტალიის დედაქალაქის კულტურული მემკვიდრეობა ვანდალების ახალი არმიის თავდასხმის სამიზნე ხდება.

ვანდალები, ბარბაროსული ტომები რომს 15 საუკუნის წინ დაესწრნენ და დაარბიეს და მათ საქმეს თანამედროვე ვანდალები აგრძელებენ. ცოტა ხნის წინ რომში ორი ათასი წლის წინ გადმოტანილ ეგვიპტურ ობელისკზე გრაფიტი მიახატეს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ქუჩებში 1200-მდე ვიდეოდაკვირვების კამერა დგას, ქუჩებში კი მუდმივად მორიგეობენ პოლიციელები, მსგავსი შემთხვევები მაინც ხდება.

# რუს რეჟისორს, მსახიობსა და მღვდელს პრეზიდენტობა სურს

**დასაწყისი მე-12 გვერდზე**

ჩაპლინის თქმით, არსებული მდგომარეობა ოხლობისტინის მხრიდან მონანიებას და საკუთარ მომავალზე სერიოზულ დაფიქრებას გულისხმობს და არა მისი მოქმედების კარტ ბლანშს.

თავად მსახიობმა განაცხადა, რომ პოლიტიკური საქმიანობისათვის მას ეკლესიის თუნდაც მდუმარე თანხმობა ესაჭიროება.

ოხლობისტინი მღვლად ტაშკენტის ეპარქიაში აკურთხეს, 2000-იანი წლების დასაწყისში. 2010 წელს ფილმში „მეფე“ მის მიერ შესრულებული როლით გამოწვეული სკანდალის გამო პატრიარქ კირილს სთხოვა დროებით მღვდელმსახურებისაგან ჩამოეშორებინა.

სასულიერო წოდებას მისთვის კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის დამთავრებაში და მსახიობის, რეჟისორისა და სცენარისტის სახით კინოგადაღებებში მონაწილეობისაგან ხელი არ შეუშლია. გარდა ამისა, მას რადიოთი გადაცემები მიჰყავს, კომპანია „ევროსეტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

პრესკონფერენციის დროს ოხლობისტინს თავისი წინასაარჩევნო პროგრამა არ წარმოუდგენია, მაგრამ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები წარმოადგინა. ასე მაგალითად, მას მიაჩნია, რომ საპრეზიდენტო ვადის ექვსიდან 14 წლამდე გაზრდა მიზანშეწონილად მიაჩნია.

მან ასევე განაცხადა, რომ არ იცის, თუ ვის დაუჭერს მხარს მომავალ არჩევნებში, რადგან პარლამენტის დეპუტატებისა მაინცადამაინც არ სჯერა.

ოპოზიციური პოლიტიკოსის, ედუარდ ლიმონოვის აზრით, ოხლობისტინს პოლიტიკური სამყაროსაგან სერიოზული დამოკიდებულების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

მიმომხილველების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ოხლობისტინს პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვების შანსები არ გააჩნია.

მათი აზრით, არჩევნებში მონაწილეობა შესაძლებელია, თუმცა, ეს უფრო საკუთარი თავის „გაპიარების“ ელფერს ატარებს და პოლიტიკური თვალსაზრისით არასერიოზული წამოწყების შთაბეჭდილებას ტოვებს.

# სამგლოვიარო განცხადებები

ეთემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ სამძიმარს უცხადებს პარტიის გენმდივანს ვახტანგ ყოლბაიას ბიძის

**აკაკი (კაკო) ჯაბუას**

გარდაცვალების გამო.

---

გია, ქეთინო, თამრიკო ჯოხთაბერიძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან ბიძაშვილის შვილისა და მეგობრის

**გია ჭკუასელის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

გულრიფშის რაიონის ინტელიგენცია, განათლების სისტემის მუშაკები და გაზეთ „გულრიფშის ზარების“ რედაქციის მუშაკები მწუხარებით იუწყებიან და სამძიმარს უცხადებენ რაიონის განათლების განყოფილების მთავარ ბუღალტერს, ქალბატონ ნანი კვარაცხელიას მეუღლის, ერთგული მამულიშვილის

**გურამ გულუას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# რა სასჯელი მოიფიქრა თალიბანმა



პაკისტანში, მოძრაობა თალიბანის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მამუნდის ტომის 25 ბიჭუნა ხელისუფლებთან თანამშრომლობისათვის ტომის ხელმძღვანელობის დასჯის მიზნით გაიტაცეს.

ბავშვები ავღანეთის საზღვართან, ბაჯურის რაიონში დაიკარგნენ.

პუშტუნების ტომი მამუნდი პაკისტან-ავღანეთის საზღვრის ორივე მხარეს ცხოვრობს.

როგორც პაკისტანიდან გავრცელებული ცნობები მოწმობს, ტომების უხუცესები და ბავშვების მშობლები თალიბებთან მოლაპრაკებას და ბავშვების დაბრუნებას ცდილობენ.

თალიბების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბავშვების გატაცება წინასწარ იყო დაგეგმილი. მისი თქმით, ბავშვების ბედს თალიბების შურა — საბჭო გადაწყვეტს. თვითმხილველებმა, რომლებმაც თალიბებისაგან გაქცევა შეძლეს, აცხადებენ, რომ დაკავებულთაგან ყველაზე უმცროსი 10 წლისაა, უფროსი — 18 წელზე ნაკლები ასაკისა.

თალიბები ბავშვების გათავისუფლების სანაცვლოდ პაკისტანის ციხეებში დაკავებული პატიმრების გათავისუფლებას მოითხოვენ.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მამუნდის ტომის უხუცესები ხელისუფლებთან აქტიურად თანამშრომლობდნენ და თალიბანთან საბრძოლველად საკუთარი რაზმები ჩამოაყალიბეს.

პაკისტანის ხელისუფლების განცხდებით, ამ თანამშრომლობის წყალობით რეგიონში თალიბების გავლენა შესუსტდა.

# საფრანგეთში ჟაკ შირაკის პროცესი დაიწყო



საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ჟაკ შირაკის სასამართლო პროცესი, რომელსაც პარიზის მერად ყოფნის დროს პარტიის უკანონო ფინანსირების ბრალდებები აქვს წაყენებული, ორშაბათს დაიწყო.

78 წლის შირაკი მეხსიერების დაქვეითებას უჩივის და სასამართლოში ცნობა წარადგინა, რომლის თანახმადაც მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პროცესებზე დასწრება არ შეუძლია.

ყოფილი პრეზიდენტი ბრალდებებს უარყოფს და სასამართლოს სთხოვა, მისი ინტერესების დაცვა სასამართლოში მისი ადვოკატებისათვის მიენდოთ.

შირაკის შუამდგომლობას სასამართლოს თავმჯდომარე დომინიკ პოტმა უნდა უპასუხოს. ან სხვადასხვანაირი გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს, პროცესის შეწყვეტით დაწყებული და დამატებითი სამედიცინო ექსპერტიზით დამთავრებული.

ჟაკ შირაკს პარიზის მერის პოსტი 1977-დან 1995 წლამდე ეკავა. იგი თავისი პარტიის, „გაერთიანება რესპუბლიკის მხარდაჭერისათვის“ წევრებისათვის არარსებულ თანამდებობებზე მუშაობისათვის ფულის გადახდის ორ ეპიზოდთან დაკავშირებული ბრალდებები აქვს წაყენებული.

პირველ ეპიზოდთან დაკავშირებით ჟაკ შირაკს 21 არარსებულ თანამდებობასთან დაკავშირებით თაღლითობის და უფლებამოსილებების გადაჭარბების ბრალდებები აქვს წაყენებული.

მეორე ეპიზოდთან დაკავშირებით ლაპარაკია შვიდ „მკვდარ სულტან“ დაკავშირებულ ეპიზოდზე.

ამ შემთხვევების შესახებ მითქმა-მოთქმა დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგრამ 1995-დან 2007 წლამდე პრეზიდენტად ყოფნის განმავლობაში ჟაკ შირაკს სასამართლოსაგან იმუნიტეტი იცავდა.

მრავალწლიანი სასამართლო დავის შემდეგ შირაკი და კიდევ ცხრა პიროვნება მარტში სასამართლოს წინაშე წარსდგნენ.

მეორე დღეს მერიის აპარატის ყოფილი ხელმძღვანელის ადვოკატმა საქმის ორ ნაწილად გაყოფა მოითხოვა.

მისი არგუმენტაციის თანახმად, პირველ საქმეს კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა გაუვიდა. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლომ, საფრანგეთის უმაღლესმა სააპელაციო ორგანომ მისი არგუმენტები უარყო.

ყოფილი პრეზიდენტის მეგობრები აღნიშნავენ, რომ ბოლო დროს პრეზიდენტს მეხსიერების მნიშვნელოვანი ჩავარდნები აღენიშნება. თავად შირაკი ამას ვერ ამჩნევს.

სასამართლოს ექიმების დასკვნა გაუგზავნეს. შირაკის ოჯახის თხოვნით შედგენილ დასკვნაში ნათქვამია, რომ ჟაკ შირაკი წარსულის შესახებ შეკითხვებზე ზუსტ პასუხებს ვერ იძლევა და ამის გამო სასამართლოს სთხოვეს, შირაკი პროცესზე დასწრების აუცილებლობისაგან გაეთავისუფლებინათ.

ზოგიერთი მიმომხილველი ექიმების დასკვნას ეჭვის თვალით უყურებს და ვარაუდობს, რომ შირაკის ოჯახი უბრალოდ მისი განსასჯელთა სკამისაგან დაცვას ცდილობს.

ჟაკ შირაკი ომის შემდგომი საფრანგეთის პირველი სახელმწიფო ლიდერია, რომელსაც სისხლის სამართლის ბრალდებები აქვს წაყენებული. 1945 წელს სახელმწიფოს ღალატის ბრალდებებით გაასამართლეს ანრი ფილიპ პეტენი, ვიშის კოლაბორაციონისტული მთავრობის ხელმძღვანელი.

# იაპონიას ტაიფუნი ტალასი დაატყდა თავს



იაპონიის დასავლეთით, ტაიფუნ ტალასის „სტუმრობის“ შედეგად 26 ადამიანი დაიღუპა, 50-მდე უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

როგორც ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, ტაიფუნი კუნძულ სიკოკუს შაბათს დაატყდა თავს. ქარის სიჩქარე საათში 108 კმ-ს აღწევდა.

რამდენიმე სოფელი წყალმა დატბორა, დაინგრა სახლები და ხიდები.

იაპონიაში ტაიფუნები წელიწადში რამდენჯერმე სტუმრობენ. 2004 წლის შემდგომი პერიოდისათვის ტალასი ყველაზე გამანადგურებელი სტიქიური უბედურება გამოდგა.

ტაიფუნმა იაპონიის კუნძულები გადაკვეთა და იაპონიის ზღვისაკენ მოძრაობს. სინოპტიკოსების ვარაუდით, ძლიერი ქარი და წვიმები გაგრძელდება და არსებობს მეწყერებისა და წყალდიდობების საშიშროება.

იაპონიის ხელისუფლებმა ქვეყნის დასავლეთ და ცენტრალური რაიონებიდან 460 ათასამდე ადამიანის გახიზვნის გადაწყვეტილება მიიღეს.

ყველაზე მეტად ტაიფუნის შედეგად ნარას და ვაკაიამას პრეფექტურები დაზიანდნენ.

მთებში მდებარე რამდენიმე სოფელი გარე სამყაროს მოწყვეტილი აღმოჩნდა. ამინდობის გამო იქ მიღწევა ვერტმფრენებითაც ვერ ხერხდება.

ნარას პროვინციაში უგზო-უკვლოდ შვიდი ადამიანი დაიკარგა. მათი სახლები ნაპირებიდან გადმოსულმა მდინარემ გადარეცხა.

სამაშველო სამსახურების თანახმად, დანგრეული გზები და სატელეფონო ხაზების დაზიანება სამაშველო სამუშაოების წარმოებას ხელს უშლის.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იოსიჰიკო ნოდამ, რომელიც ხელისუფლების სათავეში აგვისტოს ბოლოს აირჩიეს, სამაშველო სამუშაოების გაგრძელების განკარგულება გასცა.

მთავრობამ სამაშველო სამუშაოების კოორდინირებისათვის სპეციალური სამუშაო ჯგუფი შექმნა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# TV პროგრამა

## სამშაბათი 6 სექტემბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "დაკარგული პირამიდა" **08.30** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **09.00** სათავგად. ფილმი "**საიდუმლო კუნძული**" **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 19.00, 20.00** მოამბე **12.30** საფეხბურთო მიმოხილვა **13.30** აღმოაჩინე საქართველო **14.00** დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" **15.00** სერ. "**კრიმინალური სეზონი**" **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" **21.00** სერ. "**კრიმინალური სეზონი**" **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **22.25** **ფეხბურთი**. ევროპის შესარჩევი ტურნირი: მალტა-საქართველო **00.25** მხ. ფილმი "**ტომი ბიჭი**" (**3**) (კ. ფარლი) **02.10** მოამბე **02.30** აუდიტორია **03.30** მხ. ფილმი "**კარს მომდგარი მტერი**"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **20.00** მხ.ფ."**საზღვრებს მიღმა**" **01.00** მხ. ფილმი "**ბედის წინააღმდეგ**"

**08.00** კურიერი **08.25** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **09.00** სერ. "**კლუბი**" **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სერ. "**მაშველები**" **13.30** ქართ. ფილმი "**არ დაიდარდო**" **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** ამერიკის სასაცილო ვიდეოები **19.45** სერ. "**ახალგაზრდა ქვრივი**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **00.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ბარბი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **09.15** ან ფილმი "სპანჯბობი" **09.40** სერ. "**ჰანა მონტანა**" **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** ნანუკას შოუ **00.15** ფეის-კონტროლი ბათუმში **01.20** მხ. ფილმი "**რეალური სიყვარული**" (15) (ჰ. გრანტი) (სუბტ.) **03.35** მხ. ფილმი "**უცხოპლანეტელი 3**" (ს. უივერი) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ."**ჩემი შეყვარებული**" **11.00** ანიმაცია "შეჰერაზადა" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ."**დაკარგული ქვეყანა**" **13.00** მხ. ფილმი **15.30** იმედის ფსონი (პირდ.) **16.20** გადაცემა "გუნდი" **17.10** სერ. "**ტყუპები**" **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. "**ელიზა**" **21.00** სერ. "**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერ. "**სოფია, ცოტა მადრონე**" **10.30** დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50** სერ. "**სენიორა პრეზიდენტი**" **12.50** სერ. "**მოსკა და სმიტი**" **15.15** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.00** სახლი ბათუმში **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" **19.35** სერ. "**შექსპირიადა**" **21.00** სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "ბაბო დადიანი" **10.50** დოკ. ფილმი "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღველმთავარნი" **11.30** ერთსულოვანი ოჯახი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ.ფ."**ჟუჟუნას მზითევი**" **13.20** კონცერტი – ანს. "მამული" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი "**სინათლე ჩვენს ფანჯრებში**" **16.50** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.15** ირაო **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**ზოგი ჭირი მარგებელია**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** სალვთისმეტყველო საუბრები **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კონცერტი – სესილია ბარტოლი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების 6 სექტემბერი გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,641 | ევრო — 2,3815 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208 | რუსული რუბლი — 0,057 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 21-28, ღამით — 8-14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-25, ღამით — 18-29

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 21-23, ღამით — 19-15

## ამინდის პროგნოზი 6 სექტემბრისთვის





# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი

ფასი: 69 თეთრი

# გუმბათი

**ნუგზარ ჯუღელი: „10 წელია ყოველ დილით მამადავითზე წირვას ვესწრები“**

**გურამ ფირცხალავა: „ამ სიბერეში ფული შემძულდა“**

**თამარ ურუშაძე: „ჟურნალისტმა აბსოლუტურად ყველა სფეროში შეიძლება იგრძნოს თავი კომფორტულად“**





# საქართველოს ნაკრები მალტაზე გაემგზავრა

ლატვიელებთან მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრები ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ ვარჯიშობდა. ნაკრები გუშინ, დილით მალტაზე გაემგზავრა, სადაც დღეს იქაურ ნაკრებთან 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მორიგ მატჩს გამართავს.

მართალია, დღევანდელ თამაშს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ თემურ ქეცბაიასაც და ნაკრებსაც ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი. აქედან გამომდინარე, ურიგო მატჩს არ უნდა ველოდოთ.

თემურ ქეცბაიამ მალტაში ასეთი შემადგენლობა წაიყვანა:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (დინამო), ნუკრი რევიშვილი (ანჟი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);



**მცველები:** კახა კალაძე (ჯენოა, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერისპორი, თურქეთი), უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი)

**ნახევარმცველები:** დავით თარგამაძე (ოლექსანდრია, უკრაინა), მურთაზ დაუშვილი, შოთა გრიგალაშვილი (ორივე ზესტაფონი), ჯაბა კანკავა (კრივბასი, უკრაინა), ირაკლი მაისურაძე (მეტალურგი), ლევან კობიაშვილი (ჰერტა, გერმანია), დავით კვირკველია (პანიონიოსი, საბერძნეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ალექსანდრე გურული (კარპატი, უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე (არსენალი, უკრაინა).

**თავდამსხმელები:** დავით სირაძე (ნალჩიკი, რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), ლადო დვალიშვილი (მაქაბი, ისრაელი), ოთარ მარცვალაძე (კრასნოდარი, რუსეთი).

მალტა-საქართველოს მატჩი „ტა ქალის“ სტადიონზე თბილისის დროით 22:30 საათზე დაიწყება. მატჩს ჰოლანდიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება, პოლ ვან ბოეკელის თავკაცობით.

## ტესტი

## რამდენად პრაგმატული ხართ?



1. გაზეთის აღებისას წაკითხვის წინ თუ ათვალიერებთ?
2. როდესაც ცუდ ხასიათზე ხართ, ჩვეულებრივზე მეტს თუ ჭამთ?
3. ფიქრობთ საქმეებზე ჭამის დროს?
4. ინახავთ სასიყვარულო წერილებს?
5. გაინტერესებთ ფსიქოლოგია?
6. გეშინიათ დიდი სიჩქარით მგზავრობის?
7. სიკვდილზე ფიქრს თავს არიდებთ?
8. გიყვართ საწოლში, ძილის წინ ოცნება?
9. კითხულობთ სასიყვარულო რომანებს?
10. თავს არიდებთ მარტოობას?
11. თუ ყოფილა, რომ პრობლემების გამო ავად გამხდარხართ?
12. თუ გაგაჩნიათ სხვა ქალაქში ცხოვრების სურვილი?
13. თქვენი ხასიათი მემკვიდრეობით გერგოთ?
14. დადიხართ კინოში სასიყვარულო ფილმებზე?
15. თუ ყოფილა, რომ თქვენი გაჩერება გამოგრჩენიათ?
16. იღლებით 8 საათიანი ძილით?

### პასუხები

*პასუხები დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით.*

**0-4** ქულა: ზედმეტად პრაგმატული ხართ, არ გყოფნით რომანტიკულობა, ცხოვრება სერიოზული რამაა, მაგრამ ხანდახან იუმორიც საჭიროა.

**5-8 ქულა:** ილუზიებსა და რეაობას შორის, წონასწორობის მიღწევა მოახერხეთ, თუმცა, სენტიმენტალურობა მაინც გახასიათებთ.

**9-12 ქულა:** თქვენი ოცნებები ყოველთვის არ შეესაბამება ცხოვრების სინამდვილეს, არ ცდილობთ ყველა პრობლემის სრულყოფილი გადაწყვეტის მიგნებას.

**13-16 ქულა:** შეიძლება ითქვას, რომ რეალობას ემალებით, იქნებ სჯობდეს ხანდახან სინამდვილეს თვალებში ჩახედოთ. ეს დაგეხმარებათ უკეთ გაერკვეთ გარემოში და პრობლემები აიცილოთ თავიდან.

გ. თ.

# რუს რეჟისორს, მსახიობსა და მღვდელს პრეზიდენტობა სურს

რუსმა მსახიობმა, რეჟისორმა და სასულიერო პირმა ოხლობისტინმა, რომელიც 1999 წელს დუმის არჩევნებში ეკოლოგიური პარტიის „კედრის“ სიებიდან მონაწილეობდა, განაცხადა, რომ 2012 წელს რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას აპირებს.



რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ოხლობისტინის კანდიდატად დასახელების წინააღმდეგ გამოვიდა.

კომიკური სერიალის „ინტერნის ვარსკვლავი შოუს „დოქტრინა 77“-ის მონაწილეა. ამ შოუს განმავლობაში ოხლობიტინი თავისი ფილოსოფიური კონცეფციის წარმოდგენას აპირებს, რაც მისი აზრით, რუსეთის მოსახლეობას ერთ ერად ქცევაში უშლის ხელს.

ოხლობისტინის თქმით, იგი ყოველნაირად ეცდება, რათა სლავურ ხალხებთან ძველი ურთიერთობა აღადგინოს და ისინი ერთ ხალხად აქციოს, მისი აზრით, როგორც უკრაინის, ასევე ბელორუსიის მოსახლეობის მეტი ნაწილი მას მხარს დაუჭერს.

შეკითხვის პასუხად, თუ ვინ დააფინანსებს საარჩევნო კამპანიას, ექვსი შვილის 45 წლის მამამ განაცხადა, რომ რაიმე საინტერესო წინადადების წარმოდგენისას ღვთის ნებით იგი სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს.

იმავდორულად, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა ვსევოლოდ ჩაპლინმა სააგენტო ინტერფაქსს განუცხადა, რომ ოხლობისტინი მოქმედი სასულიერო პირია, რომელსაც დროებით მღვდელმსახურება აკრძალული აქვს, ამის გამო მას არჩევნებში მონაწილეობა არ შეუძლია.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## იუმორი



* * *

— რატომაა, რომ ფენით დალაგებული ვარცხნილობა პირველ ნიავამდე ძლებს, „წუხელ სველი თავით დავწექი“ კი შემდეგ დაბანამდე?

* * *

— ჭკვიანი სამყაროს შეცვლას ცდილობს, ბრძენი — საკუთარი თავისას. ასე ერთი არამზადით ნაკლები იქნება...

* * *

— ყავა კლავიატურაზე ასევე ვირუსმა დაღვარა?

* * *

— უფასო ყველს ნახვრეტებს არ უთვლიან...

* * *

— კარგი მანიკური ამშვენებს როგორც ქალის ხელებს, ასევე მამაკაცის სახეს...

* * *

— თქვენ რა, მის სალამურზე ცეკვავთ?

— ეს სალამური კი არა, თოფის ლულაა...

* * *

— იკითხეთ წიგნები, ზოგიერთი მათგანი სპეციალურად ამისათვის არის დაწერილი...

* * *

— ქალის დარწმუნება შეუძლებელია, მისი მხოლოდ დაყოლიება შეიძლება...

გ. თ.

## ასტროპროგნოზი 6 აგვისტოსთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — არ დაივიწყოთ წარსული, გაიხსენეთ ძველი მეგობრები. **კირჩხიბი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ლომი** — საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ, ფული საკმარისი გაქვთ. **ქალწული** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** — არჩევანი რთული აღმოჩნდება. **ღრიანკალი** — გადაიხალისეთ გარდერობი შეხვედრა გელით. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ მსუბუქი საკვები. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, პრობლემები არ გაქვთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საზღვაო-სავაჭრო ხელშეკრულება; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 4. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 5. რელიგიური ფერწერის დარგი; 8. საავტომობილო რბოლის ერთ-ერთი სახეობა; 9. ქართული ნაციონალური კერძი; 10. ორგანიზმის მემკვიდრეობითობის საფუძველი; 12. თემის, გვარის მეთაური სვანეთში; 13. ადამის ერთ-ერთი ვაჟიშვილი, მოღალატე ადამიანის სინონიმი; 15. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში.

**თარაზულად:** 1. ქართველი პაროდისტი, თბილისის კოლორიტი; 6. ფარიკაობა ძველად საქართველოში; 7. მოძრავი სცენა თეატრში; 10. ლეშის მჭამელი, მტაცებელი აფრიკული ცხოველი; 11. ყოველდღიური გაზეთი შვეიცარიაში; 13. შოკოლადის ხე; 14. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 16. მდინარე თბილისში; 17. საქართველოს ნაკრებისა და „კარლსრუე“-ს ფეხბურთელი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



ლურჯი ნითელი ყვითელი შავი